

# განსჯაღობა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

# 1. ადმინისტრაციული განსჯადობა

## განჩინება

№ბს-499-488(გ-14)

20 ნოემბერი, 2014 წ.,

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 4 სექტემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ააიპ „...“ მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2013 წლის 31 მაისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და ააიპ „...“ შორის გაფორმდა მემორანდუმი – შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა დევნილთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და დევნილთა დასაქმების მიზნის განხორციელებისათვის ხელშეწყობას. შეთანხმების თანახმად, მხარეებს უნდა უზრუნველყოთ ფინანსური რესურსების მოზიდვა აღნიშნული პროგრამების დასაფინანსებლად. 2013 წლის 10 ივლისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და ააიპ „...“ შორის გაფორმდა გრანტის ხელშეკრულება, რომლის ძალით გრანტის გამცემმა იკისრა ვალდებულება გრანტის მიმღებისათვის გრანტის სახით გადაეცა 270 915 000 ლარი სამ ეტაპად, თითოეულ ეტაპზე 90 305 000 ლარის ოდენობით. 2013 წლის 7 ოქტომბერს ხელშეკრულების 1.1 პუნქტში შევიდა ცვლილება საგრანტო თანხის გაზრდასთან დაკავშირებით და საგრანტო თანხა განისაზღვრა 487 500 000 ლარით. ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად, გრანტის თანხა გამოყენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ დევნილთათვის საცხოვ-

რებელი სახლებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისათვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულმა სააგენტომ გამოყო მინის ნაკვეთები საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობისათვის. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ივლისის №700 განკარგულებით მთავრობამ მოინონა მხარეთა შორის გაფორმებული გრანტის ხელშეკრულება. საქართველოს მთავრობის განკარგულებისა და გრანტის ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2014 წლის 13 იანვარს გასცა №04-01/1296 საგარანტიო წერილი.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო „...“ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, კერძოდ, ხელშეკრულების 1.1 და 2.1.2 პუნქტების მოთხოვნები, რაც ითვალისწინებდა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენიდან 90 დღის ვადაში პირველი ეტაპისათვის გათვალისწინებული საგრანტო თანხის გადარიცხვას. ამასთან, მოსარჩელის მითითებით, სამინისტრომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო დოკუმენტაციის მოსამზადებლად გასწია გარკვეული დანახარჯი, კერძოდ, ორ ობიექტზე გამოცხადდა კონკურსი, კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, სამინისტრომ თითოეულ ობიექტზე განეული სამუშაოების ორგანიზებისათვის გადაიხადა ჯამში 574000 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 416-ე მუხლების შესაბამისად, მოითხოვა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურების დაკისრება 488 074 000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარჩელი განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ამავე კოდექსის 2.1 მუხლით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით, 65-ე მუხლით და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას იყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიით.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, განსხვავებით სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან აღჭურვილნი საჯარო სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით და სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიით, შესაბამისად, მოცემული დავა განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

სასამართლო კოლეგიამ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეების სასამართლოსადმი უწყებრივ ქვემდებარეობას, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად კანონმდებლის მიერ განსაზღვრულია დავის საგანი, რომელიც წარმოშობ

ბილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო, ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს. კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

სასამართლო კოლეგიის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და ააიპ „...“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.

ხელშეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ასევე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი როგორც სუბიექტის მონაწილეობა.

სასამართლო კოლეგიის მითითებით, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების 1-ლი მუხლის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს. აღნიშნული ამოცანების განხორციელებისას იგი წარმოადგენს სახელმწიფოს. ამავე დებულების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, თავშესაფარის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, რეპატრიანთა, სტიქიით და-

ზარალებულითა და სხვა მიგრანტთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და განსახლების სფეროში. სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და ახორციელებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას. ამავე დებულების მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, სამინისტროს ერთ-ერთი ფუნქცია და ამოცანაა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, დევნილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, რეპატრიანტთა, საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამონეწეული მიგრაციული ნაკადის რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნა და სოციალური დაცვა.

ამდენად, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარჩელი საქმესთან ერთად უნდა დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-

2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო სარჩელით ითხოვს 2013 წლის

10 ივლისს მხარეთა შორის გაფორმებული გრანტის შესახებ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლო-სა და ზიანის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრებას. შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს მითითებული – გრანტის ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის მონაწილეობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავაში მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა განმსაზღვრელი არ არის დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ასეთ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრუ-



ლების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო მოქმედებდა რა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, ააიპ „...“ დაიდო ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადების დროისათვის მოქმედი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ 1996 წლის 28 ივნისის კანონის მე-5<sup>4</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ეხმარება დევნილს დროებით საცხოვრებელ ადგილზე საკუთარი უფლებების განხორციელებაში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად. ამავე პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოები ეხმარებიან დევნილს დროებით დასაქმებაში, მისი პროფესიისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით; გ) უზრუნველყოფენ დევნილის კონსტიტუციურ უფლებას განათლებაზე და საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სახელმწიფოს ხარჯზე უფასო სწავლებას; ე) ეხმარებიან დევნილს სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადანყვეტაში; თ) უზრუნველყოფენ დევნილს საქართველოს ფარგლებში დროებითი საცხოვრებელითა და აუცილებელი პირველადი დახმარებით. მითითებული მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სამინისტრო კოორდინაციას უწევს საქართველოს სხვა სამინისტროებსა და უწყებების საქმიანობას დევნილთა უფლებების განხორციელების სფეროში.

უდავოა, რომ როგორც ხელშეკრულების დადების დროისათვის, ასევე ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით დევნილთა განსახლების საკითხების რეგულირება განეკუთვნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამოსილებას, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორცი-

ელეზული ნებისმიერი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება საჯარო სამართლებრივი ხასიათის მატარებლად.

განსჯადობის შესახებ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის განმსაზღვრელია გრანტის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შეფასება. ანუ ხელშეკრულება ეფუძნება საჯარო თუ კერძო სამართლებრივ ნორმებს, მისი შესრულება მონესრიგებულია თუ არა საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების“ 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე, რომელიც კოორდინაციასა და კონტროლს უწევს სამინისტროს საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. ამავე დებულების მე-2 მუხლის კ) პუნქტის თანახმად, სამინისტროს ფუნქციას განეკუთვნება თავის ძირითად ამოცანათა ფარგლებში საქმიანობის სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება, საქართველოს მთავრობისათვის წინადადებებისა და პროექტების წარდგენა, მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების უზრუნველყოფა.

საქმის მასალების თანახმად, მხარეთა შორის გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების პროექტი შეთანხმდა საქართველოს მთავრობასთან, რომლის 2013 წლის 3 ივლისის №700 განკარგულებით მონონებულ იქნა ხელშეკრულების პროექტი. ამავე განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა საგარანტიო წერილის გაცემა გრანტის ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1.2 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში გრანტის გამცემისათვის არამიზნობრივად გამოყენებული თანხის ანაზღაურების თაობაზე, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა გრანტის ხელშეკრულების შესაბამისად სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად ინფორმაციის საქართველოს მთავრობისათვის მიწოდება.

– გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებულ

ბით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ სარჩელი მოკასუხე ააიპ „...“ (იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ... ქ. №23) მიმართ, გრანტის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლოსა და ზიანის დაკისრების შესახებ წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მოსარჩელე სარჩელში უთითებდა, რომ ვინაიდან ხელშეკრულების შესრულების ადგილად განსაზღვრული იყო ქ. თბილისი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რომელიც ადგენს, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, მოცემული დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოცემული საქმე მიიჩნია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავად და იგი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განსახილველად სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაუგზავნა. ამ უკანასკნელმა კი წამოიწყო დავა საგნობრივ განსჯადობაზე და დავის გადასაწყვეტად საქმე საკასაციო სასამართლოში გადმოიგზავნა.

საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში მოცემულ შემთხვევაში უფლებამოსილია გადაწყვიტოს დავა მხოლოდ საგნობრივი განსჯადობის შესახებ, რამდენადაც სასამართლოთა შორის მხოლოდ საგნობრივი კუთხით წარიმართა დავა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავა განეკუთვნება რა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას, საქმე უბრუნდება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ვინაიდან მოცემულ ეტაპზე დავა ეხებოდა საგნობრივ განსჯადობას, საკასაციო სასამართლოს კომპეტენციას სცილდებოდა ტერიტორიული ნიშნით მოცემული დავის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს დადგენა. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ უნდა იმსჯელოს სახელშეკრულებო ურთიერთობასთან დაკავშირებული სარჩელი სწორად არის თუ არა წარდგენილი ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, თუ იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესა-

ბამისად, ექვემდებარება საერთო განსჯადობის წესით განხილვას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სარჩელი საქმის მასალებთან ერთად დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სამოქალაქო განსჯადობა

### ბანჩინება

№ბს-670-645(გ-13)

23 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა შპს „...“ სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის.

#### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ 23.05.13წ. სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის – ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის მოსარჩელის მიერ პირგასამტეხლოს სახით უკვე გადახდილი თანხის – 139 406,1 ლარის უკან დაბრუნების დაკისრება; მოსარჩელემ მოითხოვა აგრეთვე საკრებულოსათვის ვადაგადაცილებულ დღეზე – 2012 წლის 21 სექტემბრიდან 2012 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით პირგასამტეხლოს სახით-შესრულებული სამუშაოს საერთო ღირებულების – 1130426 ლარის 0,2%-ის – 189 840 ლარის გადახდა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 07.08.12წ. №151 ხელშეკრულების თანახმად შპს „...“ 2012 წლის 20 სექტემბრამდე უნდა შეესრულებინა ქ. ქარელში, დაბა ... და სოფ. ... გზების მოასფალტების სამუშაოები, საერთო ღირებულებით – 1130426 ლარი. 2012 წ. სექტემბრის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ ქ. ქარელში, ... და ... ქუჩებზე სხვა ორგანიზაცია 2012 წლის 12 სექტემბრიდან 24 ნოემბრამდე აწარმოებდა წყალსადენის და კანალიზაციის მოწყობის სამუშაოებს, რაც მოსარჩელისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას შეუძ-

ლებელს ხდიდა. 13.09.12წ. საკრებულოს წერილობით ეთხოვა სამუშაოთა შესრულების ვადების გადაწვევა 2012 წლის 7 ოქტომბრამდე. ეს მოთხოვნა საკრებულოს მიერ რეაგირების გარეშე დარჩა, რის გამოც სკ-ის 398.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს არ მოეთხოვებოდა შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრი დაცვა. ხელშემშლელი გარემოებები გრძელდებოდა ოქტომბრის და ნოემბრის თვეში. მოსარჩელემ 30.10.12წ. მაინც მოახერხა სამუშაოების დასრულება და იმავე დღეს მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად. 07.11.12წ. ქარელის გამგეობას წარედგინა შესრულებული სამუშაოების მიღების აქტები. შემსყიდველი ვალდებული იყო შეტყობინებისთანავე შეედგინა მიღება-ჩაბარების აქტი, მით უფრო, რომ სამუშაოთა მიღებაზე ხელმოწერები უკვე არსებობდა. შემსყიდველი მხოლოდ პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ იყო თანახმა გადაეხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულება. მოსარჩელე თვლის, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების ვადის დარღვევით ჩარიცხვისათვის თავად უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ პიორგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 2012 წლის 21 სექტემბრიდან 2012 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა სკ-ის 401-ე, 398.1, 417-ე, 418-ე, 976-ე, 978-ე მუხლები.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 15.07.13წ. საოქმო განჩინებით მოპასუხე მხარის შუამდგომლობა შპს „...“ სარჩელის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა გამომდინარეობს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებიდან.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 23.07.13 წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელის – შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ხაშურის რაიონული სასამართლოს 23.07.13წ. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“ და მოითხოვა მისი გაუქმება, საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 08.10.13წ. განჩინებით აპელანტის – შპს „...“ სააპელაციო საჩივარი ხაშურის რაიონული სასამართლოს 23.07.13წ. გადაწყვეტილებაზე საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. პალატამ მიუთითა, რომ სასაკ-ის 2.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. სზაკ-ის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. სასამართლომ მიუთითა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „რ“ ქვეპუნქტით, მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვის, მშენებლობისა და განვითარების უზრუნველყოფის საკითხზე.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის, გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე, 07.08.12წ. ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და შპს „...“ შორის გაფორმდა №151 ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის გზების მოასფალტების სამუშაოებზე. დღეისათვის მოსარჩელე – შპს „...“ ითხოვს მის მიერ პირგასამტეხლოს სახით გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას და მოპასუხისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრებას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ზემოხსენებული ნორმების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულება დადებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან, რის გამოც საქმე განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.10.2013წ. განჩინებით აპელანტის (მოსარჩელის) შპს „...“ სააპელაციო საჩივარი განსჯადობის საკითხზე დავის გადასაწყვეტად საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არ გაიზიარა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებები სარჩელის განსჯადობის შესახებ საკითხზე და აღნიშნა, რომ 07.08.12წ. ადმინისტრაციულ ორგანოს (შემსყიდველს) – ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირს (მიმწოდებელს) – შპს „...“ შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №151 ხელშეკრულება წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ, არამედ კერძო სამართლებრივ ხელშეკრულებას. სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად იმისთვის, რომ ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად ჩაითვალოს, მისი მონაწილე ერთ-ერთი მხარე მანც უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო. თუმცა ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს არამარტო ხელშეკრულების მონაწილე პირის (პირების) ვინაობა, მათი სტატუსი და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, არამედ ხელშეკრულების მიზანი. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ასევე მიუთითა ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.07.10წ. №9 დადგენილებით დამტკიცებული „ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის)“ მე-3 მუხლის 3.10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საერთო ადმინისტრირების სფეროში – ტრანსპორტისა და საგზაო მეურნეობის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება: ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება. ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 02.12.11წ. №44 დადგენილებით დამტკიცებული „ქარელის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის“ თანახმად, საკრებულომ 2012 წელთან მიმართებაში დაგეგმა და გაითვალისწინა გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები. 07.08.2012 წ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №151 ხელშეკრულების დადებას წინ უძღვოდა შემსყიდველის – ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო ტენდერის გამოცხადებისა და ჩატარების პირობებში მოქმედებდა იმავე საკ-



რეზულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – განკარგულებით დამტკიცებული „ქარელის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ მიხედვით. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჯერ კიდევ „ქარელის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის“, აგრეთვე „ქარელის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ დამტკიცებისას მიიღო გადაწყვეტილება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვის (მშენებლობის და განვითარების) უზრუნველყოფის თაობაზე.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ 07.08.2012 წ. № 151 ხელშეკრულება დადებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საჯარო უფლებამოსილება განხორციელა ანუ გადაწყვეტილება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვის, მშენებლობისა და განვითარების უზრუნველყოფის საკითხზე მიიღო არა ხელშეკრულების დადების და შესრულების, არამედ ხელშეკრულების დადებამდე მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში - მთელი რიგი ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის გზით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე და თვლის, რომ საქმე განსჯადობით უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანი სასამართლოში შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვე-

ტა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, მოცემულ შემთხვევაში ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული ორგანოა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთეს აღნიშნული მისი შეხედულებით უფრო მისაღებია და არ ეწინააღმდეგება საჯარო სამართლებრივ ნორმებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს თავის საქმიანობაში კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები (სზაკ-ის 65<sup>1</sup> მუხ.). ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხ., სზაკ-ის 65.2, 65<sup>1</sup> მუხ.). საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითადი ელემენტი უკავშირდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ხელშეკრულების დადებას. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის

საგანს შეადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება და მოსარჩელის მიერ პირგასამტეხლოს სახით უკვე გადახდილი თანხის – 139 406, 1 ლარის, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების, უკან დაბრუნება. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა სათანადო საფასურის გადახდის სანაცვლოდ იკისრა ქალაქ ქარელში ..., ..., ..., ... და ... სახელობის ქუჩების, ასევე დაბა ..., ..., ... და ... სახელობის ქუჩების, სოფელ ... გზების მოასფალტების ვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით. ხელშეკრულების დადების შედეგად არ წარმოიქმნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან საჯარო ქმედების (რეალაქტის) მოვალეობა. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისრა შესრულებულ სამუშაოთა მიღების და თანხის გადახდის ვალდებულება. ამდენად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოქმნის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. სასკ-ის 2.3 მუხლის შესაბამისად სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. დავის საგანს მოცემულ შემთხვევაში შეადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვადის დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება და უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს სახით მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. მოსარჩელე-შპს „...“ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად უთითებს სამოქალაქო კოდექსის 85-ე, 86-ე, 361-ე, 398-ე, 401-ე, 417-ე, 418-ე, 429-ე, 976-ე, 978-ე მუხლებს. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). სასკ-ის 25 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერ-

ძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც თავისი ბუნებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებაა, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის, 65<sup>1</sup> მუხლების საფუძველზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება მიიღოს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვის, მშენებლობისა და განვითარების უზრუნველყოფის საკითხზე გადაწყვეტილება თავისთავად არ ნიშნავს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების პირობას. ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 27.07.10წ. №9 დადგენილებით დაამტკიცა „ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება (რეგლამენტი)“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 16.1 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.07.10წ. №9 დადგენილებით დამტკიცებული „ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი)“ მე-310 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილებათა წრეს განეკუთვნება ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარება. ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 02.12.11 წ. №44 დადგენილებით დამტკიცებული „ქარელის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტით“ დაიგეგმა გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები. ამდენად, საჯარო უფლებამოსილება ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხორციელდა არა 07.08.12წ. ხელშეკრულების დადებით, არამედ ხელშეკრულების დადებამდე მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში მთელი რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის გზით, რითაც კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადან-

ყდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეკონსტრუქციის საკითხი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ განსახილველი დავის საგანს არ წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურა, რომელიც წინ უძღვოდა 07.08.2012წ. № 151 ხელშეკრულების დადებას. დავის საგანია ტენდერის შედეგად 07.08.12წ. დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის მის მიერ პირგასამტეხლოს სახით უკვე გადახდილი თანხის – 139 406,1 ლარის უკან დაბრუნებისა და მის სასარგებლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევის გამო პირგასამტეხლოს სახით ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე 2012 წლის 21 სექტემბრიდან 2012 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 130 426 ლარის 0,2%-ის – 189 840 ლარის გადახდის დაკისრება. ამდენად, იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვების მომწესრიგებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით, არ ადასტურებს მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საჭიროებას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსჯადობის აღრევა ინვესს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც თავის მხრივ ასახვას ვპოვებს მხარეთა უფლებებზე. აღნიშნულის გამო, სასკ-ის 26-ე მუხლის იმპერატიული დანაწესის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი წარდგენილი და განხილულია განსჯადი – ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, შესაბამისად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ, რის გამოც საქმე განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 390-ე, 399-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს „...“ სარჩელი მოპასუხე ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სამოქალაქო განსჯადობა**

### **განჩინება**

№ბს-64-63(გ-14)

25 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 9 იანვარს ლ. მ-ს წარმომადგენელმა პ. მ-მ სარჩელი აღძრა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიმართ და მოითხოვა შრომის წიგნაკის პირველი და მეორე გვერდის ჩანაწერის ნამდვილობის აღიარება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ლ. მ-ა 1982 წლის 1 აგვისტოდან 1992 წლის 25 აგვისტომდე მუშაობდა რუსთავის მსუბუქი ტექსტომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოში მეეზოვედ.

1992 წლის სექტემბრიდან საცხოვრებლად გადავიდა აზერ-

ბაიჯანის რესპუბლიკაში, სადაც მუშაობდა სხვადასხვა სამსახურებში. იგი უკვე არის საპენსიო ასაკს მიღწეული და ესაჭიროება ცნობა წელთა ნამსახურობის მიხედვით. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოციალური დაცვის სახელმწიფო ფონდიდან მიმართეს საქართველოს ეროვნულ არქივს, თუმცა არქივიდან მიღებული პასუხით, რუსთავის ტაქსომოტორების პარკის მასალები რუსთავის ადგილობრივ დაცვაზე არ ინახება, რის გამოც 1982-1992 წლებში ლ. მ-ს მუშაობის ფაქტს ვერ ადასტურებენ. ქ. რუსთავის მერიის 1997 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმდა რუსთავის მერიის სატრანსპორტო დეპარტამენტი, რომელშიც შედიოდა მსუბუქი ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმო და ჩამოყალიბდა ერთიანი შპს „...“. მასში შევიდა მსუბუქი ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომელზეც მიმდინარეობს ლიკვიდაცია და მსუბუქი ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს მასალები არ მოიპოვება.

მოსარჩელის მითითებით, ლ. მ-ს ესაჭიროება შრომის წიგნაკის პირველ და მეორე გვერდებზე მითითებული ჩანაწერის ნამდვილობის დადასტურება, რათა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დაენიშნოს პენსია წელთა ნამსახურების მიხედვით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 იანვრის განჩინებით ლ. მ-ს წარმომადგენლის პ. მ-ს სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას იმ მოტივით, რომ ფიზიკური პირი, რომელიც მუშაობდა იმჟამად სახაზინო (სახელმწიფო) დაწესებულებაში და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის სამართალურთიერთობის შრომის სტაჟის არსებობის დადგენა არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსახილველ საქმეს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 იანვრის განჩინებით სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საკასაციო სასამართლოში, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-

2 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოე-ბი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილ-ვენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გა-მომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმო-ებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა და-ვის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთო-ბიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. კანონმდებ-ლის მითითება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ად-მინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლე-ბიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გა-მომდინარეობს, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამარ-თალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სა-დავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში: იმ შემთხვევაში, თუ სამართალურ-თიერთობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის ან სხვა კერ-ძო-სამართლებრივი წყაროს ნორმებით, დავა სამოქალაქო კა-ტეგორიისაა, ხოლო თუ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორ-მა მოცულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ან საჯარო სამართლის სხვა წყაროთი, დავა ადმინისტრაციულ კატეგორი-ას განეკუთვნება.

სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს აღიარებულ იქნეს ლ. მ-ს შრომის წიგნაკის პირველი და მეორე გვერდის ნამდვილო-ბა, რაც არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კა-ნონმდებლობიდან, რამდენადაც დოკუმენტის ნამდვილობის აღიარება რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, კერძოდ, კი სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილე-ბის საფუძველს წარმოადგენს შრომითი კანონმდებლობით მო-წესრიგებული ურთიერთობანი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნო-ბის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩ-ნია რომ ლ. მ-ს წარმომადგენლის პ. მ-ს სარჩელი განსახილვე-ლად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამარ-



თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავად. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნას დავის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინის-

ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების გაანალიზების შედეგად მიაჩნია, რომ ლ. მ-ს წარმომადგენლის პ. მ-ს სარჩელი წარმოდგენილი რედაქციით როგორც ფორმალური, ისე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ვერ იქნება განხილული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, შესაბამისად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს დასკვნა საქმის ადმინისტრაციულ დავად მიჩნევის თაობაზე ზედპირული და დაუსაბუთებელია, ასევე, დაუსაბუთებელია ადმინისტრაციული კოლეგიის დასკვნა სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე.

ლ. მ-ს სარჩელის საგანს წარმოადგენს – სასამართლო წესით შრომის წიგნაკის პირველი და მეორე გვერდის ნამდვილობის აღიარება. მოპასუხე – თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერია.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საქმე განსახილველად უნდა გადაეცეს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომელმაც რიგი საპროცესო მოქმედებები უნდა განახორციელოს დავის სამართლებრივი ხასიათის განსაზღვრის მიზნით, რამდენა-

დაც სარჩელი თავისი შინაარსით მოცემულ მომენტში არ იძლევა შესაძლებლობას ამგვარი დასკვნის შესადგენად.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე საქმეზე ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 14 თებერვლის განჩინებაში /საქმეზე შპს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხეების – სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ბათუმის რეგიონული ცენტრის მიმართ/ და საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 29 იანვრის განჩინებაში /საქმეზე ტ. მ-ს სარჩელისა გამო მოპასუხეების – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და ი. პ-ის მიმართ/ ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნებს და განმარტებებს, კერძოდ, „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელი/დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების მატერიალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალება/ შედგება ორი ელემენტისაგან – სარჩელის საგნისა და საფუძვლისაგან. სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, ანუ სარჩელის საგანია მოსარჩელის უფლება, რომლის შესახებაც ის მოითხოვს გადაწყვეტილების გამოტანას სასამართლოს მიერ. შესაბამისად, სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი და არა მოთხოვნის მატერიალური ობიექტი. სარჩელის საფუძველი, თავის მხრივ, ორი ელემენტისაგან შედგება, სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლისაგან, ამასთან, სარჩელის საფუძველი არის ის ფაქტები, რომელთა არსებობა განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა უკავშირებს სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას“.

„სასამართლო წესით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა სუბიექტური უფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც იცავს უფლებას გაქარწყლებისგან, არარად ქცევისგან. ამიტომაც, რომ საპროცესო სამართალში სარჩელის აღძვრის უფლების (სარჩელზე უფლების) არსებითი ელემენტია, უწინარეს ყოვლისა, თავად უფლების არსებობა მატერიალური შინაარსით რომლის დაცვის ღირსი ინტერესიც მოსარჩელეს გააჩნია. თუკი განცხადებულ მოთხოვნაზე უფლება ნამდვილად ეკუთვნის მოსარჩელეს და მას ნამდვილად აქვს ამ უფლების დაცვაზე კანონიერი ინტერესი, ხოლო სადავოდ გამხდარ უფლებაზე ვალდებულ პირს ნამდვილად წარმოადგენს მოპასუხე, მაშინ საქმის განხილვისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა – მხარეთა ლეგიტიმური შემადგენლობა სახეზეა.

ამდენად, სასამართლოსადმი მიმართვა უკავშირდება მხო-

ლოდ „თავისი“ უფლების ან თავისუფლების დაცვის რეალურ საჭიროებას, რის გამოც სასამართლოში სარჩელის აღძვრის პროცესულური უფლებით სარგებლობს მხოლოდ საამისო, ნამდვილი ინტერესის მქონე პირი და ამასთან, ეს ინტერესი უნდა იყოს კანონიერი. შესაძლებელია, თავისთავად, პირს ჰგონია, რომ ასეთი ინტერესი აქვს და მიმართავს სასამართლოს, მაგრამ პირის ასეთი სუბიექტური განწყობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ობიექტურად იგი მართლაც დაინტერესებულია პროცესის წარმოების თვალსაზრისით. სასამართლომ უნდა გაარკვიოს სარჩელის აღძვრის კანონიერი ინტერესი კანონიერი ინტერესის არსებობის საკითხის გარკვევისას მნიშვნელოვანია, გარკვევს უფლებისა და ინტერესის სუბიექტური ფარგლების საკითხი, რაც უკავშირდება მათ შორის ურთიერთმიმართებისა და განსხვავების გამორკვევას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით ინტერესი არ არის სუბიექტური უფლების შემადგენელი ელემენტი, წარმოადგენს მისი დაკმაყოფილების განმაპირობებელი სუბიექტური უფლების წანამძღვარს. ამ თვალსაზრისით სარჩელის აღძვრა შესაძლებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენების საფუძვლით. ამდენად, ამ საკითხის სწორად გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, მოსარჩელეს არ წაერთვას ნამდვილი უფლება სარჩელზე და შესაბამისად, სამართლიან სასამართლოზე და, მეორე მხრივ, შეცდომით არ მოხდეს სარჩელზე მოსარჩელის არარსებული უფლების განხორციელება და ამით გაუმართლებლად არ შეილახოს მოპასუხის ინტერესები და სამართლიან სასამართლოზე მისი შესაბამისი უფლება“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ორივე – სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებაც იცნობს აღიარებითი სარჩელის სახეებს, კერძოდ, ამგვარი მოთხოვნის აღძვრის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია, როგორც სსსკ-ის 180-ე მუხლის, ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე.

სამოქალაქო სასამართლომ მოსამზადებელი სხდომის ინსტიტუტის გამოყენებით უნდა გამოარკვიოს: რაში მდგომარეობს სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესი, როგორც ამას ითხოვს სსსკ-ის 180-ე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კოდექსის 25-ე მუხლების დანაწესი; სასამართლომ უნდა გამოარკვიოს თუ რა მიზნის მიღწევა სურს მოსარჩელეს სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, რომელი უფლების დაცვის პრევენციას უზრუნველყოფს იგი. აღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ უნდა განსაზღვროს მოსარჩელის მიზნის

მიღწევას რომელი კატეგორიის (სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული) და რომელი სახის (ალიარებითი თუ შეცილებითი) სარჩელი მოემსახურება, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ალიარებითი სარჩელის ინსტიტუტი საპროცესო კანონმდებლობით შესაბამის შემადგენლობას შეიცავს და მას დასაშვებობის წინაპირობები გააჩნია, კერძოდ: სსსკ-ის 180-ე მუხლის მიხედვით მოსარჩელის მიერ ამ ინსტიტუტის გამოყენების უფლება დამოკიდებულია საპროცესო მოვალეობაზე – დაასაბუთოს მოთხოვნის სასამართლო გადაწყვეტილებით ალიარების იურიდიული ინტერესი, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მიხედვით მოსარჩელემ მოთხოვნის ალიარების იურიდიული ინტერესის გარდა, უნდა დაასაბუთოს, რომ მისი მოთხოვნა ვერ იქნება აღძრული ადმინისტრაციული სარჩელის სხვა სახეების (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-24-ე მუხლებით) მეშვეობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ალიარებითი სარჩელი, როგორც მოთხოვნის აღძვრის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება ექვემდებარება როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული წესით სასამართლო კონტროლს სარჩელის სახის კვალიფიციური განსაზღვრის თვალსაზრისით მისი დასაშვებობის კრიტერიუმების შემოწმების გზით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარის მიერ მატერიალურ-სამართლებრივი უფლების დაცვა დამოკიდებულია საპროცესო უფლებათა კვალიფიციურ გამოყენებაზე, რომლის შესრულების ხარისხიც სასამართლოს მიერ უნდა შემოწმდეს, მაგ: სარჩელის შინაარსის (სსსკ-ის 178-ე მუხლი) შესაბამისობა მონმდება სსსკ-ის 183-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად. სსსკ-ის 186-ე მუხლით განსაზღვრულია სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი და ა.შ; ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა დამოუკიდებლად გამოყოფს ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებობის სტადიას განმწესრიგებელი სხდომის ინსტიტუტის მეშვეობით და სხვ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ზემოაღნიშნულ საკითხების დეტალური და ზუსტი გამოკვლევის შედეგად უნდა განსაზღვროს თუ რომელი კატეგორიის (ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო) და რომელი სახის (ალიარებითი თუ შეცილებითი) სარჩელია წარდგენილი სასამართლოში და შესაბამისად, რომელი სახის სამართალწარმოება უნდა განხორ-

ციელდეს მის მიმართ.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ლ. მ-ს წარმომადგენლის პ. მ-ს სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამოქალაქო განსჯადობა**

**განჩინება**

№ბს-41-40(კ-14)

8 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემის დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 28 იანვარს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2013 წლის 23 აგვისტოს შპს „...“ დირექტორის მიერ მოწვეულ იქნა პარტნიორთა კრება საზოგად-

დოების პარტნიორების მიერ 2010 წლის 11 ნოემბრის კრებაზე საზოგადოების კაპიტალში დამატებითი შენატანების განხორციელებასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, პარტნიორის – ტ. დ-ის გარიცხვის საკითხის განხილვის მიზნით. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კრება გამოცხადდა გადანყვეტილებაუნარიანად. კრებაზე დადგინდა, რომ ტ. დ-ის მიერ შენატანის განხორციელების თაობაზე ვალდებულება არ შესრულებულა, რაც დასტურდებოდა სს „ბ...“ საზოგადოების ანგარიშზე ფინანსური სახსრების მოძრაობის შესახებ ამონაწერით, სალაროს შემოსავლის ორდერებითა და საზოგადოების 2010-2013 წლების ბრუნვითი უწყისებით. აღნიშნულის შესაბამისად, კრებაზე ერთხმად იქნა მიღებული გადანყვეტილება ტ. დ-ის გარიცხვის თაობაზე.

საზოგადოების პარტნიორის გარიცხვისა და საზოგადოებაში პარტნიორთა ნილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით შპს „...“ დირექტორმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს. სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 16 ნოემბრის გადანყვეტილებით დადგინდა ხარვეზი, ხოლო 2012 წლის 18 დეკემბრის გადანყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა.

მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია სარეგისტრაციო სამსახურის გადანყვეტილებები და მათი ბათილად ცნობის მოთხოვნით ადმინისტრაციული საჩივრებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 23 თებერვლის №32209 და №32778 გადანყვეტილებებით ადმინისტრაციული საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 16 ნოემბრის №12124174/3 და 2012 წლის 18 დეკემბრის №12124174/4 გადანყვეტილებების ბათილად ცნობა და ცვლილების რეგისტრაციის მოპასუხისათვის ვალეობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 თებერვლის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ ტ. დ-ი, გ. მ-ი და მ. ნ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურის 2012 წლის 16 ნოემბრის №12124174/3, 2012 წლის 18 დეკემბრის №12124174/4, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 27 თებერვლის №32209 და №32778 გადაწყვეტილებები და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით, 27-ე, 29-ე მუხლებით, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და აღნიშნა, რომ შპს „...“ დირექტორის მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი განცხადებით მოთხოვნილი იყო ტ. დ-ის საზოგადოებიდან გარიცხვისა და დარჩენილი წილის პარტნიორების საკუთრებად რეგისტრაცია, ხოლო სამართლებრივ საფუძვლად მითითებული იყო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ შპს „...“ წესდების 5.7 პუნქტის და 5.9 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შპს „...“ დამფუძნებელი პარტნიორების – ტ. დ-ის, გ. მ-ისა და მ. ნ-ის მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება (2010 წლის 11 ნოემბრის №3 კრების ოქმი) 2011 წლის 1 მაისამდე ფულადი ან ქონებრივი შენატანების შეტანის გზით საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 100 000 ლარამდე გაზრდასთან დაკავშირებით. სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი ბ... ამონაწერით დასტურდებოდა, რომ 14.07.2010-08.11.2012 პერიოდში ტ. დ-ს არ შეუტანია თანხა შპს „...“ პირად ანგარიშზე, თუმცა სარეგისტრაციო სამსახურში არსებული შპს „...“ წესდებით არ იყო განსაზღვრული თითოეული პარტნიორის მიერ შენატანის შეტანის განხორციელების წესი (კონკრეტული საბანკო დანესებულება, ანგარიშის ნომერი და ა.შ). წარმოდგენილი დოკუმენტაციით ასევე დგინდებოდა, რომ 2010 წლის 11 ნოემბრის №3 კრების ოქმით საწესდებო კაპიტალში შესატანი ქონება განისაზღვრა ფულადი ან ქონების სახით, რომლიც სამოქალაქო კოდექსის 147-ე და 148-ე მუხლებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი. ყოვე-



ლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარეგისტრაციო სამსახურმა მიიჩნია, რომ წარდგენილი დოკუმენტაცია არ ადასტურებდა საზოგადოების პარტნიორის – ტ. დ-ის მიერ შენატანის განუხორციელებლობის გარემოებას და აღნიშნული არ შეიძლებოდა საფუძვლად დაედებოდა მისი წილის დაკარგვას.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5<sup>1</sup> და მე-5<sup>2</sup> პუნქტების თანახმად, თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, პარტნიორის თანხმობის გარეშე ამგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებელია. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ხორციელდება პარტნიორის – ტ. დ-ის საზოგადოებიდან გარიცხვა, რომლის შედეგსაც წარმოადგენს ტ. დ-ის რეგისტრირებულ უფლების გაუქმება, აღნიშნულზე მითითებული იმპერატიული მუხლებიდან გამომდინარე, სავალდებულოა უკანასკნელის თანხმობა. შესაბამისად, საჯარო რეესტრმა მიიჩნია, რომ სარეგისტრაციო განცხადებას არ ერთვოდა მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ფორმით და წესით შედგენილი და დამოწმებული აუცილებელი დოკუმენტი, რაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5<sup>3</sup> მუხლისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველს. შესაბამისად, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის სამსახურის 2012 წლის 16 ნოემბრის ხარვეზის დადგენის შესახებ №12124174/3 გადაწყვეტილება შეესაბამება კანონს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, არ არსე-

ბოხს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აგრეთვე, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს წინასწარი გამოკვლევის გარეშე უარი განაცხადოს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხზე განცხადების ან შუამდგომლობის მიღებაზე იმ საფუძველით, რომ ეს განცხადება ან შუამდგომლობა დაუშვებელი ან დაუსაბუთებელია.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ განმარტა, რომ სადავო აქტების გამოცემისას მოპასუხე მხარის მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლი, კერძოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოებისას არ არის გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება არ არის მიღებული ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. კერძოდ, გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს და შეაფასოს შპს „...“ პარტნიორთა 2010 წლის 11 ნოემბრის კრების ოქმი, რომელზეც პარტნიორთა მიერ ერთხმად იქნა მიღებული შეთანხმება საზოგადოების სანესდებო კაპიტალის 100 000 ლარამდე გაზრდისა და პარტნიორებისათვის შენატანების ოდენობის, ფორმისა და შეტანის ვადის განსაზღვრის შესახებ, ასევე შპს „...“ პარტნიორთა 2012 წლის 23 აგვისტოს კრების ოქმის თაობაზე, სადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ტ. დ-ის გარიცხვის შესახებ, ასევე გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვლეული და შეფასებული უნდა იქნეს ტ. დ-ის კანონით დადგენილი წესით კრებაზე მონვევა, კრების ოქმების გაგ-

ზაენა და ჩაბარება, საზოგადოების ფინანსური სახსრების მოძრაობის შესახებ ბანკის ამონაწერები, სალაროს შემოსავლის ორდერები და ბრუნვითი უწყისები.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნები და შეფასებები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „...“ პარტნიორებმა 2010 წლის 11 ნოემბრის კრების ოქმით ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება შპს „...“ სანესდებო კაპიტალის 100000 ლარამდე გაზრდის შესახებ, ასევე განისაზღვრა პარტნიორთა ვალდებულება სანესდებო კაპიტალში თავიანთი წილების პროპორციულად ფულადი ან ქონებრივი სახით შენატანები განეხორციელებინათ არა უგვიანეს 2011 წლის 1 მაისამდე.

2012 წლის 23 აგვისტოს პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების პარტნიორის – ტ. დ-ისათვის წილის ჩამორთმევისა და პარტნიორთა რიგებიდან გარიცხვის თაობაზე დამატებითი შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. ტ. დ-ის გარიცხვის შემდეგ, საზოგადოების კაპიტალში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრა შემდეგნაირად: მ. ნ-ი – 50%, გ. მ-ი – 50%.

2012 წლის 15 ნოემბერს შპს „...“ დირექტორმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა შპს „...“ სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია, კერძოდ, პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვისა და მისი წილის დანარჩენი პარტნიორებისათვის გადაცემის რეგისტრაციის შესახებ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 16 ნოემბრის №12124174/3

გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და ცვლილების რეგისტრაციისათვის განმცხადებელს მოეთხოვა უფლებამოსილი პირის მიერ დამატებით ყველა პარტნიორის მიერ მიღებული, სათანადო წესით შედგენილი და დამონმებული დოკუმენტი.

შპს „...“ დირექტორმა სარეგისტრაციო სამსახურის გადანყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 18 დეკემბრის №12124174/4 გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა, რაც ასევე ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“ დირექტორმა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 27 თებერვლის №32778 და №32209 გადაწყვეტილებებით შპს „...“ დირექტორის ადმინისტრაციული საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, რეგისტრაცია არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამ კანონით განსაზღვრული უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების, მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის, ტყის ფონდის საზღვრის დადგენის და მასში ცვლილების, გეოგრაფიული ობიექტების, მათი კომპლექსებისა და ნაწილების ნუმერაციის და მათ შესახებ მონაცემების, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სავალდებულო სარეგისტრაციო მონაცემების, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მო-

ნაცემთა აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადანაცვების მიღებით. იმავე მუხლის „ი“, „კ“ და „ლ“ პუნქტების მიხედვით, სარეგისტრაციო წარმოება არის სააგენტოს საქმიანობა რეგისტრაციის მიზნით. სარეგისტრაციო დოკუმენტია სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, ხოლო სარეგისტრაციო დოკუმენტაცია არის რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადანაცვლება. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, განცხადებას უნდა ერთოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე. ისინი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო შპს „...“ პარტნიორთა 2012 წლის 23 აგვისტოს კრების ოქმი მიეჩნია ისეთ სარეგისტრაციო დოკუმენტად ანუ სამართლებრივ აქტად, რომელიც უშუალოდ წარმოშობს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას და მიელო გადანაცვლება ცვლილების რეგისტრაციის შესახებ, მით უფრო მაშინ, როდესაც მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე და არც ევალებოდათ კრების ოქმის შინაარსის ნამდვილობის შემოწმება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, შემდგომ თუ აღმოჩნდებოდა, რომ კრების ოქმი შედგენილი იყო კანონის მოთხოვნათა დარღვევით და დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, კანონით დადგენილი წესით, უფლებამოსილი ორგანოს მიერ მოხდებოდა მისი გაუქმება, მაშინ ეს გახდებოდა განხორციელებუ-

ლი რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სარეგისტრაციო სამსახური უფლებამოსილი იქნებოდა შეემონებინა კრების ოქმის შინაარსის ნამდვილობა და დაედგინა მისი შესაბამისობა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასეთ ვითარებაშიც კი ცალსახად არსებობდა კრების ოქმის საფუძველზე სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაციის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშუდევოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი“. განსახილველ შემთხვევაში შპს „...“ პარტნიორთა 2010 წლის 11 ნოემბრის კრების ოქმით საზოგადოების პარტნიორთა მიერ, მათ შორის, ტ. დ-ის მიერ, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება შპს „...“ სანესდებო კაპიტალის 100 000 ლარამდე გაზრდის თაობაზე და განისაზღვრა საზოგადოების პარტნიორების მიერ თავიანთი წილების პროპორციულად არა უგვიანეს 2011 წლის 1 მაისამდე სანესდებო კაპიტალში შენატანების განხორციელების ვალდებულება ფულადი ან ქონებრივი სახით. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ დადგენილ ვადაში ტ. დ-მა არ შეასრულა ვალდებულება დამატებითი შენატანების განხორციელებასთან დაკავშირებით, რის გამოც შპს „...“ დანარჩენ პარტნიორებს უფლება ჰქონდათ 2012 წლის 23 აგვისტოს კრების ოქმით მიეღოთ გადაწყვეტილება ტ. დ-ის მიერ 2010 წლის 11 ნოემბრის კრებაზე საზოგადოების კაპიტალში დამატებითი შენატანების განხორციელებასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მისთვის წილის ჩამორთმევისა და პარტნიორთა რიგებიდან გარიცხვის თაობაზე. ამასთან, ტ. დ-ის გარიცხვის შემდგომ, დანარჩენ პარტნიორებს ასევე უფლება ჰქონდათ საზოგადოების კაპიტალში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განესაზღვრათ შემდეგნაირად: მ. ნ-ი – 50%, გ. მ-ი – 50 %.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ შპს „...“ წესდებით არ განსაზღვრულა თითოეული პარტნიორის მიერ შენატანის შეტანის განხორციელების წესი, კონკრეტული საბანკო დაწესებულება, ანგა-

რიშის ნომერი და ა.შ, სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი დოკუმენტაცია არ ადასტურებდა საზოგადოების პარტნიორის – ტ. დ-ის მიერ შენატანის განუხორციელებლობას და აღნიშნული არ შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა მისი წილის დაკარგვას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წესდებაში თითოეული პარტნიორის მიერ შენატანის შეტანის განხორციელების წესის, კონკრეტული საბანკო დანესებულების, ანგარიშის ნომრის და ა.შ მიუთითებლობა, წარმოადგენდა ტექნიკური ხასიათის საკითხებს და ეს გარემოება არ უნდა გამხდარიყო საზოგადოების პარტნიორის შენატანის შეტანის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი მაშინ, როდესაც მან სხვა პარტნიორებთან ერთად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თვითონვე იკისრა საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და თავისი წილის პროპორციულად საწესდებო კაპიტალში შენატანის განხორციელების ვალდებულება ფულადი ან ქონებრივი სახით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მარეგისტრირებული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ განცხადებას არ ერთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, ან/და არ არის გადახდილი სააგენტოს მიერ განეული მომსახურების საფასური. განსახილველ შემთხვევაში რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ვინაიდან საკითხი ეხებოდა ტ. დ-ის საზოგადოებიდან გარიცხვას, რომლის შედეგსაც წარმოადგენდა ტ. დ-ის რეგისტრირებული უფლების გაუქმება, ამიტომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5<sup>1</sup> და მე-5<sup>2</sup> პუნქტების შესაბამისად, აუცილებელი იყო ტ. დ-ის თანხმობა, რაც სარეგისტრაციო განცხადებას თან არ ერთვოდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა მოსარჩელისათვის ხარვეზის დადგენის საფუძველი და სარეგისტრაციო სამსახურმა არასწორად განმარტა ზემოაღნიშნული ნორმები.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნ-

და იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი. იმავე მუხლის მე-5<sup>2</sup> პუნქტის მიხედვით, თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, პარტნიორის თანხმობის გარეშე ამგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებელია.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5<sup>1</sup> და მე-5<sup>2</sup> პუნქტებში საუბარია მხოლოდ წესდებაში ცვლილების შეტანის საკითხებზე, როცა რომელიმე პარტნიორის უფლება ან წილი იზღუდება, ან პარტნიორს რაიმე დამატებითი ვალდებულება ეკისრება, რა დროსაც აუცილებელია ამ პარტნიორის თანხმობა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ ნორმებს არანაირი კავშირი არა აქვთ ისეთ შემთხვევასთან, როდესაც ხდება პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან, საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე მის მიერ, საკუთარი ნებით ნაკისრი ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის გამო. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შემთხვევაში გასარიცხი პარტნიორის თანხმობა ვერ იარსებებს, ვინაიდან გარიცხვა, როგორც წესი, ხდება მისი ნების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, სარეგისტრაციო სამსახურს არ ჰქონდა უფლება შეეჩერებინა სარეგისტრაციო წარმოება და მოსარჩელისათვის მოეთხოვა გასარიცხი პირის ტ. დ-ის თანხმობა იმის თაობაზე, იგი თანახმა იყო თუ არა საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საზოგადოებიდან მის გარიცხვაზე და მისი წილის სხვა პარტნიორებისათვის გადანაწილებაზე. ბუნებრივია და ლოგიკურიც, რომ ტ. დ-ი ასეთ თანხმობას არ გასცემდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადანაცვლები დაუსაბუთებელია, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მათი ბათილად



ცნობის საფუძველი.

კასატორის განმარტებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ შპს „...“ წესდების 5.7 პუნქტითა და 5.9 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შპს „...“ დამფუძნებელი პარტნიორების მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება საზოგადოების სანესდებო კაპიტალის გაზრდისა და 2011 წლის 1 მაისამდე შენატანის განხორციელების თაობაზე. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი ამონაწერი ბ...იდან ადასტურებდა, რომ 2010 წლის 14 ივლისიდან 2012 წლის 8 ნოემბრამდე პერიოდში ტ. დ-ს არ შეუტანია თანხა შპს „...“ პირად ანგარიშზე, თუმცა სარეგისტრაციო სამსახურში არსებული შპს „...“ წესდებით არ იყო განსაზღვრული თითოეული პარტნიორის მიერ შენატანის განხორციელების წესი. ასევე დგინდებოდა, რომ 2010 წლის 11 ნოემბრის კრების №3 ოქმით სანესდებო კაპიტალში შესატანი ქონება განისაზღვრა ფულადი ან ქონების სახით, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 147-ე და 148-ე მუხლებიდან გამომდინარე შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი. შესაბამისად, სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი დოკუმენტაცია არ ადასტურებდა საზოგადოების პარტნიორის – ტ. დ-ის მიერ შენატანის განხორციელებლობის ფაქტს და აღნიშნული არ შეიძლება საფუძველად დაედოს მისი წილის დაკარგვას.

გარდა აღნიშნულისა, კასატორის მოსაზრებით „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტისა და 5<sup>1</sup>, 5<sup>2</sup> პუნქტების მოთხოვნიდან გამომდინარე, საზოგადოების პარტნიორის გარიცხვისა და მისი რეგისტრირებული უფლების გაუქმებისათვის სავალდებულო იყო ამ უკანასკნელის თანხმობა, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო.

კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ მარეგისტრირებული ორგანო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილი არ იყო შეემოწმებინა კრების ოქმის კანონიერება და იგი უნდა მიეჩნია სარეგისტრაციო დოკუმენტად, რამდენადაც მარეგისტრირებული ორგანო პასუხისმგებელია რეგისტრირებული მონაცემებისა და მასთან დაკავშირებული რეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 თებერვლის განჩინებით საჯარო

რო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მარტის განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გამოვლენათა ვაშთ:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2009 წლის 10 თებერვალს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირდა სამენარმეო იურიდიული პირი – შპს „...“, რომლის დამფუძნებელი პარტნიორები იყვნენ ტ. დ-ი – 50%-იანი წილით, ხოლო 25-25%-იანი წილებით – გ. მ-ი და მ. ნ-ი. საზოგადოების პარტნიორთა კრების 2009 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული იყო წესდება, რომლის 3.4 მუხლით განსაზღვრული იყო საზოგადოების სანესდებო კაპიტალში პარტნიორთა შენატანების ოდენობა, ხოლო 3.5, 3.6 და 3.9 მუხლებში მითითებული იყო თითოეული პარტნიორის მიერ განსახორციელებელი შენატანის შეტანის ვადაზე.

საქმეში წარმოდგენილი შპს „...“ დამფუძნებელ პარტნიორთა 2010 წლის 11 ნოემბრის კრების №3 ოქმის თანახმად, საზოგადოების პარტნიორებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება საზოგადოების სანესდებო კაპიტალის 100 000 ლარამდე გაზრდის შესახებ. ასევე დადგინდა, რომ სანესდებო კაპიტალში შენატანი უნდა განეხორციელებინათ თავიანთი წილების პროპორციულად არა უგვიანეს 2011 წლის 1 მაისამდე.

2012 წლის 4 აგვისტოს შპს „...“ დირექტორმა მოინვია პარტნიორთა კრება 2010 წლის 11 ნოემბრის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებასთან დაკავშირებით, კერძოდ, შენატანის განხორციელებასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პარტნიორის – ტ. დ-ის გარიცხვის საკითხთან დაკავშირებით. პარტნიორთა კრებაზე არ გამოცხადდა ტ. დ-ი, რომელსაც კრების ოქმის თანახმად, შეტყობინება ჩაბარებული ჰქონდა 2012 წლის 27 ივლისს. აღნიშნულის გამო, პარტნიორთა კრება გადაიდო 2012 წლის 23 აგვისტოს.

2012 წლის 23 აგვისტოს პარტნიორთა კრების №7 ოქმის თანახმად, განმეორებით კრებას არ ესწრებოდა ტ. დ-ი. კრებაზე დამსწრე პარტნიორების მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება ტ. დ-ის პარტნიორთა რიგებიდან გარიცხვისა და აღნიშნულის შესაბამისად, პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის განსაზღვრის შესახებ.

საქმის მასალების მიხედვით, 2012 წლის 15 ნოემბერს შპს „...“ დირექტორმა განცხადებით მიმართა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა საზოგადოების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია, კერძოდ, პარტნიორის გარიცხვისა და პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილების დარეგისტრირება. სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 16 ნოემბრის №12124174/3 გადაწყვეტილებით წარდგენილ განცხადებაზე დადგინდა ხარვეზი, კერძოდ, გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ პარტნიორთა 2010 წლის 11 ნოემბრის კრების ოქმი, რომლითაც განისაზღვრა პარტნიორთა ვალდებულება შენატანის შეტანაზე, არ იყო რეგისტრირებული მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, ხოლო სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებული შპს „...“ წესდების 2009 წლის 28 დეკემბრის რედაქციით არ იყო განსაზღვრული პარტნიორის მიერ შენატანის შეტანის წესი და ვადა. მარეგისტრირებელმა ორგანომ იხელმძღვანელა „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 5<sup>1</sup>, 5<sup>2</sup> პუნქტებით და მიიჩნია, რომ მოთხოვნილი ცვლილების რეგისტრაციისათვის საჭირო იყო დამატებით ყველა პარტნიორის მიერ მიღებული, სათანადო წესით დამონმებული დოკუმენტი.

სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 18 დეკემბრის №12124174/4 გადაწყვეტილებით შპს „...“ დირექტორის განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 27 თებერვლის №32209 და №32778 გადაწყვეტილებებით არ დაკმა-

ყოფილდა შპს „...“ ადმინისტრაციული საჩივრები სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებების გაუქმების თაობაზე.

მოცემული დავის ფარგლებში შპს „...“ სადავოდ ხდის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში საზოგადოების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის განხორციელებაზე უარის თქმის თაობაზე.

სამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრაცია, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განეკუთვნება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებელი მარეგისტრირებელი ორგანო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც, იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11

მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით და განმსაზღვრელი არ არის მხოლოდ სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რამდენადაც სამენარმეო რეესტრში ცვლილების შეტანა რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმებით. სამენარმეო საქმიანობა „მენარმეთა შესახებ“ კანონით მონესრიგებული კერძო-სამართლებრივი საქმიანობის ფორმაა. „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამდენად, სამენარმეო კანონმდებლობა არეგულირებს სამენარმეო სუბიექტების ფორმირების წესსა და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

მიუხედავად იმისა, რომ დავის საგანს წარმოადგენს სამენარმეო სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების

განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერება, აღნიშნული ვერ გახდება დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო გადაწყვეტილებები არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ აქტებს, რამდენადაც არ შეიცავენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის განმსაზღვრელ აუცილებელ ელემენტს, კერძოდ: სადავო სამართლებრივი ურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ახორციელებს რა მენარმე სუბიექტის რეგისტრაციას ან სამენარმეო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციას, ამონებს წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას „მენარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან, შესაბამისად, სადავო გადაწყვეტილებები მატერიალური თვალსაზრისით შემონმებსა ექვემდებარება კერძოსამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით. ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანო სადავო სამართალურთიერთობას აწესრიგებს გადაწყვეტილების გამოცემის გზით, დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც ურთიერთობა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას სწორედ კერძო სამართლის კანონმდებლობის – „მენარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე იღებს.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს აქტის შინაარსს. შპს-ს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანა რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, ისევე, როგორც კერძო სამართლის სხვა იურიდიული პირების დაფუძნება-რეგისტრაციის, პარტნიორთა უფლება-მოვალეობებისა და საზოგადოების მართვის საკითხები, სამართლებრივად წარმოადგენს კორპორაციულ ურთიერთობებს, რომლებიც კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე რეგულირდება. სადავო სამართალურთიერთობა შეეხება კერძო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაციის (სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის) პირობებს სამენარმეო კანონმდებლობის საფუძველზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მოთხოვნის სამართლებ-

რივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს. შესაბამისად მოცემული დავა ექვემდებარება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას, რამდენადაც სადავო სამართალურთიერთობა რეგულირდება კერძო სამართლის კანონმდებლობით, კერძოდ, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ უზენაეს სასამართლოში დღემდე არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მსგავსი კატეგორიის დავები სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება (საქმეზე №ბს-913-875(გ-07) 30.08.07 განჩინება; საქმეზე №844-828(გ-12) 04.04.13 განჩინება; საქმეზე №ბს-297-289(გ-13)27.06.13 განჩინება).

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა განსჯადობის წესების დარღვევით იქნა განხილული ქვედა ინსტანციების სასამართლოთა მიერ. საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით საქმის განხილვა თავისთავად უკვე თვით განსჯადობის წესის დარღვევით გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტის გამო, ადასტურებს საქმის უხეში საპროცესო დარღვევით განხილვას და შედეგად იწვევს სამართალწარმოების წესების დარღვევით დავის გადაწყვეტას. სასკ-ის 26-ე მუხლის იმპერატიული დანაწესის თანახმად არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. შესაბამისად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო

საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ნოემბრის განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამოქალაქო განსჯადობა

### განჩინება

№ბს-364-360(გ-14)

10 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 4 ივლისს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე თბილისის ვაკის რაიონის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2010 წლის 4 ივნისს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობასა და შპს „...“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ქ. თბილისში, ... გამზირისა და ... ქუჩის შემაერთებელი გზის ასფალტბეტონის საფარის მონყობის სამუშაოების შესყიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და თანდართული დეფექტური აქტის შესაბამისად. ხელშეკრულების თანახმად, შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენდა 99917,20 ლარს, ხოლო მიწოდების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 15 ივნისამდე.

ხელშეკრულების 7.1 პუნქტის თანახმად, შესრულებული სა-



მუშაოების ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო ერთიანად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში. ხელშეკრულების 9.2.3 პუნქტის მიხედვით, შემსყიდველმა იკისრა ვალდებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ხოლო 9.5 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

მოსარჩელის მითითებით, ხელშეკრულების დადებამდე – 2010 წლის 3 ივნისს გაფორმდა დეფექტური აქტი, ხოლო 2010 წლის 4 ივნისს – ხარჯთაღრიცხვა.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, უნდა მოწყობილიყო ბეტონის ბორდიურები, მაგრამ ხელშეკრულების დადების შემდეგ მხარეები სიტყვიერად შეთანხმდნენ ბორდიურების ბაზალტით მოწყობის შესახებ, რამაც გამოიწვია სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდა 2010 წლის 26 ივნისამდე. აღნიშნული არ ჩათვლილა ხელშეკრულების პირობის დარღვევად და არც საჯარიმო სანქციები გავრცელებულა შემსრულებლის მიმართ.

სამუშაოების შესრულების შემდეგ, 2010 წლის 22 ივნისს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო 2010 წლის 23 ივნისს – შესრულებული სამუშაოების №3 აქტი და მიმწოდებელმა მოითხოვა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, მაგრამ ანგარიშსწორება არ განხორციელებულა.

მოსარჩელის მითითებით, შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 10 აგვისტოს №21-1413598 ბრძანების საფუძველზე მოხდა შპს „...“ 2006-2012 წლების საქმიანობის გასვლითი საგადასახადო შემონმება. შპს „...“ მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების გადაუხდელობის გამო მან ვერ შესძლო მოგებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდა. საგადასახადო შემონმების შედეგად გაიზარდა ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხარჯი 38540 ლარის ოდენობით, რის გამოც დაყადაღდა შპს „...“ ანგარიშები.

მოსარჩელის განმარტებით, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად ვაკის რაიონის გამგეობა არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და შპს „...“ არ უნაზღაურებს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, რის გამოც მოსარჩელემ სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

მოითხოვა მოპასუხისათვის 99917,20 ლარისა და ზიანის – 38540 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის ვაკის რაიონის გამგეობას შპს „...“ სასარგებლოდ დაეკისრა 99917,20 ლარის გადახდა, ხოლო ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვაკის რაიონის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 თებერვლის განჩინებით თბილისის ვაკის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დავათა კატეგორიას განეკუთვნებოდა.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, შესაბამისად, მხარეთა შორის 2010 წლის 4 ივნისს დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ხელშეკრულებას წარმოადგენდა, რამდენადაც გამგეობა მოქმედებდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მაისის განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებზე (23.01.2014წ. განჩინება საქმეზე №ბს-670-645(გ-13), არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას მხარეთა

შორის გაფორმებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევის შესახებ და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება მიიღოს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვის, მშენებლობისა და განვითარების უზრუნველყოფის საკითხებზე გადაწყვეტილება, თავისთავად არ ქმნის სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების პირობას. ვაკის რაიონის გამგეობის მიერ საჯარო უფლებამოსილება განხორციელდა არა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2010 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების დადებით, არამედ მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში იმ ადმინისტრაციული აქტების გამოცემის გზით, რითაც გადაწყდა ქ. თბილისში, ... გამზირისა და ... ქუჩის შემაერთებელი გზის ასფალტბეტონის საფარის სამუშაოების ჩატარება.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მითითებით, დავის საგანს არ წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურა, რაც წინ უძღოდა 2010 წლის 4 ივნისის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებას. დავის საგანია ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, ის გარემოება, რომ ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვების მომწესრიგებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე არ ადასტურებს მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საჭიროებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენე-

ბისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმე-

ბის დარღვევით.

მოცემულ შემთხვევაში შპს „...“ სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სარჩელით ითხოვდა 2010 წლის 4 ივნისს მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრებას. შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს მითითებული – გზის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის მონაწილეობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დევაში მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა განმსაზღვრელი არ არის დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ასეთ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. ად-

მინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე, რომ ვაკის რაიონის გამგეობა მოქმედებდა რა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, შპს „...-თან“ დაიდო ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რამდენადაც ხელშეკრულების დადების დროისათვის მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „რ“ პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა.

უდავოა, რომ როგორც ხელშეკრულების დადების დროისათვის, ასევე ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მართვა განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ პუნქტი), მაგრამ განსჯადობის შესახებ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის განმსაზღვრელია სამუშაოს შესრულების – გზის საფარის მოწყობის სამუშაოების ჩატარების შესახებ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შეფასება. ანუ ხელშეკრულება ეფუძნება საჯარო თუ კერძო სამართლებრივ ნორმებს, მისი შესრულება მონესრიგებულია თუ არა საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით, რამდენადაც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) და განხორციელების წესი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კანონი პირდაპირ მიუთითებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების რეგულირების შესაძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ დავის ადმი-

ნისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელი არაა ის გარემოება, რომ შპს „...“ და გამგეობას შორის გზის საფარის მოწყობის სამუშაოების ჩატარების შესახებ ხელშეკრულება დადებულია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ფორმით, რამდენადაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის თანახმად, კანონმდებელმა სახელმწიფო შესყიდვას დაუქვემდებარა სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა, სახელმწიფო საქმიანობისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების განვებისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა, სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობა, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება. აღნიშნული არ აქცევს სახელმწიფო შესყიდვების ფორმით აღმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას ადმინისტრაციულად, ხოლო ხელშეკრულების შესაბამისობა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონმდებლობასთან და მისი დადებისას პროცედურული დარღვევების არსებობა არ წარმოადგენს მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს. მოსარჩელე სადავოდ ხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობას და განეული მომსახურების საფასურის გადაუხდელობას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალური თეორია არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობანი. კერძოდ, სადავო ურთიერთობა გამომდინარეობს წარდობის ხელშეკრულებიდან, რომელიც კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს და რომლის დადების დროისთვისაც უცილობლად გამოყენებულ იქნებოდა სამოქალაქო სამართლის ნორმები. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი კერძო-სამართლებრივია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მოთხოვნის სამართლებ-

რივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი დავაა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



# სამოქალაქო განსჯადობა

## განჩინება

№ბს-350-316(გ-14)

11 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა თ. შ-ის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

### აღწერილობითი ნაწილი:

05.02.2014წ. თ.შ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა კონკურსის კანონშეუსაბამოდ ცნობა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 31.12.2013წ. №4522/კ და 08.01.2014წ. №21/ს ბრძანებების ბათილად ცნობა, აგრეთვე სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.02.2014წ. განჩინებით თ.შ-ის სარჩელი მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული შრომითი დავა არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას, რადგან დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სადავო ურთიერთობა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს, რაც სახეზე არ არის, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 2.2 მუხლში მოცემულია იმ დანებსებულებების ჩამონათვალი, რომელშიც სამსახური საჯარო სამსახურად მიიჩნევა, ამ დანებსებულებების ჩამონათვალში სსიპ საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტო მითითებული არ არის. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლის მიერ საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ხდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით, რომლის მიხედვით საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობის მოწესრიგებისთვის ორგანოს განესაზღვრა საქმიანობის ფორმები სამართლებრივი აქტისა და ხელშეკრულების სახით. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო სამსახურში ბრძანების გამოცემით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯარო-სამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული შეღავათებისა და გარანტიების მინიჭება. სას.კ-ის 2.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან წარმოშობილი დავა განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოებით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, რადგან სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და მის თანამშრომლებს შორის ურთიერთობა წესრიგდება საქართველოს შრომის კოდექსით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 13.02.2014წ. განჩინებით თ.შ-ის სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად, ბაჟის გადაუხდელობის, სასარჩელო მოთხოვნის დაუზუსტებლობის, ფაქტობრივი გარემოებების არასრულად მითითების და სათანადო მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო.

თ.შ-ემ 27.02.2014წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საჯარო რეესტრის მიმართ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 21.12.2013წ. №452/კ და 08.01.2014წ. №21/ს ბრძანებების ბათილად ცნობის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ... დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის, განაცდური ხელფასის ანაზღაურების და 2014 წლის 1 იანვრიდან სამსახურში აღდგენამდე იძულებითი განაცდულის, როგორც დაყოვნების თანხის, თითოეულ დღეზე 0,07%-ის ანაზღაურების მოთხოვნით. დავის საქალაქო სასამართლოში განხილვისას მოსარჩელემ დამატებით მოითხოვა შრომის ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტის საფუძველზე ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის სახით.

თ.შ-ემ 22.04.14წ. განცხადებით მიმართა საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ... დეპარტამენტის უფროსის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შეჩერება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 23.04.14წ. განჩინებით არ დაკმა-

ყოფილდა თ.შ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. 27.05.14წ. თ.შ-ემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა, მოსარჩელემ მოითხოვა ... სამსახურის უფროსის – სტრუქტურული ცვლილების შემდეგ სააგენტოს ... დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ან სააგენტოს სისტემაში ... დეპარტამენტის უფროსის ტოლფასოვან პოზიციაზე აღდგენა მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით. მოსარჩელემ მოითხოვა აგრეთვე შრომის ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტის საფუძველზე ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის სახით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას დავის იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ. შუამდგომლობის ავტორმა აღნიშნა, რომ დავის საგანი წარმოიშვა საჯარო-სამართლებრივი და არა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან. მოსარჩელის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნას და გათავისუფლებას საფუძველად დაედო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 11<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ამ კანონის 29-32-ე მუხლების მოქმედება ასევე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ სსიპ-ის თანამშრომლისათვის კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი სსიპ-ის საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც იქმნება კანონის 36.2 და 36.3 მუხლებით გათვალისწინებული წესით. კანონის 29.1 მუხლი განსაზღვრავს, რომ პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, 30.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ: დროებითი მოვალეობის შემსრულებელი იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს. მოსარჩელე თანამდებობაზე დანიშნული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კონკურსამდე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ვადა (კონკურსის ჩატარება 2014 წლის 1 იანვრამდე) და კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების ოქმი დაედო საფუძველად სადავო ბრძანების გამოცემას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა სსიპ თანამშრომლების თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება გაუთანაბრა იმ სუბიექტთა წრეს, რომლებზედაც პირდაპირ ვრცელდება „საჯარო

სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედება. ამასთანავე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არის ადმინისტრაციული ორგანო, რაც კიდევ ერთი ნიშანია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 04.06.2014წ. განჩინებით თ. შ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად გადმოგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მიუთითა სასკ-ის მე-2, მე-6 მუხლებზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 11<sup>1</sup> მუხლში 20.11.2013წ. შესულ ცვლილებებზე და აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 12.02.2013წ. ბრძანებით თ. შ-ე სამსახურში მიღებულ იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვით თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს. მიმდინარე დავაში ძირითადი გასაჩივრებული აქტი, – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 31.12.2013წ. ბრძანება თ. შ-ის განთავისუფლების შესახებ ასევე ეყრდნობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს, კერძოდ 30.2 მუხლს. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან თ. შ-ის განთავისუფლებისა და დანიშვნის დოკუმენტები ძირითადად ეყრდნობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონს, ამიტომ სარჩელი განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების გამოყენებით. აღნიშნულის დასადასტურებლად სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.04.11წ. №ბს-487-483(გ-11) გადაწყვეტილებაზე. სასამართლომ აგრეთვე მიუთითა, რომ შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნას.

სამოქალაქო კოლეგიამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 1.4, მე-2, მე-13, მე-14 მუხლებზე და აღნიშნა, რომ ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო საქმიანობას ახორციელებს, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონმა შესაძლებელი გახადა სახელმწიფო საჯარო უფლებამოსილებების დელეგირება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, თუმცა აღნიშნული დელეგირება ხელს არ უნდა უშლიდეს სახელმწიფოს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები დააკომპლექტოს იმ პრინციპების საფუძველზე, რასაც საჯარო

მმართველობა გულისხმობს. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული პრობლემა შესაძლოა გადაიჭრას სამოსამართლო სამართლით. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შრომის კოდექსი ეფუძნება დასაქმებულისა და დამსაქმებლის თანასწორუფლებიანობას. შრომის კოდექსით განსაზღვრული პრინციპები განსხვავებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი პრინციპებისგან. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათი უზრუნველყოფს საჯარო მმართველობაში არსებული შრომითი ურთიერთობებისას წარმოშობილი დავების მეტად სრულ, ყოვლისმომცველ და სამართლიან განხილვას. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას მეტადაა გარანტირებული სუსტი მხარის, საჯარო და კერძო ინტერესების სამართლიანი დაცვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასკ-ის 26.3 მუხლის გათვალისწინებით, სამოქალაქო კოლეგია მიიჩნია, რომ დავა განსჯადობის გადასაწყვეტად უნდა გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატა 22.07.04წ. განცხადებით მიმართა თ.შ-ემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მოსამართლე არ დაეთანხმა რა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.02.14წ. განჩინებას და მსგავს საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.07.07წ. №ბს-132-123(კ-07) გადაწყვეტილებას, დაარღვია კანონი და ეთიკის წესები. განმცხადებელი თვლის, რომ სამოქალაქო კოლეგიის განჩინება ეწინააღმდეგება „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-2, მე-12.2 მუხლების დებულებებს, რომლის მიხედვით ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები არ არიან საჯარო მოხელეები. განმცხადებელი არ ეთანხმება სასამართლოს მოსაზრებას, რომ შრომითი კოდექსი არ იცნობს „მოვალეობის შემსრულებლის“ სტატუსს და აღნიშნავს, რომ შრომის კოდექსი იცნობს დროებით და განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების სახეებს. სასკ-ის 24-ე მუხლის თანახმად, ერთი სასამართლოდან მეორეში გადაგზავნილ საქმეს წარმოებაში განსახილველად იღებს ის სასამართლო, რომელსაც იგი გადაგზავნება, დავა სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ არ დაიშვება. სასამართლომ ანალოგიის პრინციპების უხეში დარღვევით მიუთითა, რომ ინკვიზიციური პროცესი შეჯობრებითობის პრინციპზე უფრო მეტად უზრუნველყოფს სამართლიანობას. სასამართლომ არ გაითვალისწინა ანალოგიურ საკითხზე გამოტანილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 10.07.07წ. (ბს-132-123(კ-07) გადაწყვეტილება სსიპ „საქართველოს ტე-

ლევინისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 11.08.04წ. №636-კ ბრძანების სასამართლო განსჯადობის შესახებ. განმცხადებელი ითხოვს განსჯადობის საკითხის განხილვისას მისი კონსტიტუციური უფლების გათვალისწინებას, საქმის არსებითი განხილვისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის დაბრუნებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ თ. შ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ განსჯადობის საკითხი არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე, დავა განსჯადობის თაობაზე წარმოიშობა სასამართლოებს და არა სასამართლოსა და მხარეთა შორის. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე მართლმსაჯულება, უკვე თვით თავისი არსებობის ფაქტით, განაპირობებს სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე დავის წარმოქმნის შესაძლებლობას, რომელსაც საკასაციო სასამართლო წყვეტს. განსჯადობის შესახებ დავის მონაწილეთა თანაბრობის პრინციპიდან გამომდინარე, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დადგენილი წესი სარჩელის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის შესახებ (სასკ-ის 26-ე მუხ.) ეხება არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეებს, სასამართლოებს შორის დავა საქმის საგნობრივ განსჯადობაზე მხოლოდ ასეთი დაშვების პირობებშია შესაძლებელი. ამდენად საფუძველს არის მოკლებული მოსარჩელის მოსაზრება, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ დავა არ დაიშვება.

განსახილველ დავაში თ. შ-ე სასარჩელო განცხადებით ითხოვს მისი განთავისუფლების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 31.12.2013წ. და 08.01.2014წ. ბრძანებების ბათილად ცნობას, მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით სამსახურში აღდგენას, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, მიუღებელი შემოსავლის სახით ზი-

ანის ანაზღაურებას და იძულებითი განაცდურის, როგორც და-  
ყოვნებული თანხის 0,07%-ის ანაზღაურებას თითოეულ დღე-  
ზე 2014 წლის 1 იანვრიდან. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის  
თანახმად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ადმი-  
ნისტრაციული ორგანოა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ და-  
ვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა იმის გა-  
მო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციუ-  
ლი ორგანოა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის იმმა-  
ნენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სა-  
მართალურთიერთობის ხასიათს. სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ად-  
მინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს (ტაქსაცია). ამდე-  
ნად, კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოე-  
ბის წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა  
დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერ-  
თობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაცი-  
ული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (ენუ-  
მერაცია). სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ სა-  
ერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების  
წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გა-  
მომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებუ-  
ლი დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურ-  
თიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სა-  
მართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს  
კანონმდებლობაში.

ამდენად, საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადან-  
ყვეტისთვის მნიშვნელობა ენიჭება სადავო ბრძანების გამოცე-  
მის საფუძველს, სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმე-  
დების ფორმას. უკეთეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სა-  
დავო აქტი გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის საფუძ-  
ველზე, ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი-  
დან გამომდინარე, სახეზე იქნება ინდივიდუალური ადმინის-  
ტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო თუ აქტის გამოცემის  
საფუძველი კერძო-სამართლებრივია, იგი არ ჩაითვლება ადმი-  
ნისტრაციულ აქტად (იხ. სუს დიდი პალატის 10.07.2007წ. გან-  
ჩინება საქმეზე №ბს-132-123(კ-07)).

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ  
თ.შ-ის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მოვალეობის  
შემსრულებლად დანიშვნა მოხდა საჯარო რეესტრის ეროვნული  
სააგენტოს თავმჯდომარის 12.02.2013წ. ბრძანებით, შრომის კო-  
დექსის 6.3 მუხლისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქარ-  
თველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის

საფუძველზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 21.02.13წ. შედგა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ... სამსახურის უფროსის სამუშაო აღწერილობა, რომელიც ხელმოწერილია თ. შ-ისა და სააგენტოს ხელმძღვანელის მიერ. შრომის კოდექსის 6.3 მუხლის მიხედვით, პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას. სწორედ უკანასკნელი ნორმა წარმოადგენდა ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად თ. შ-ის დანიშვნის ძირითად საფუძველს. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის გამომრიცხავ გარემოებას არ ქმნის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმის საფუძველზე თ. შ-ის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა, აღნიშნული მინიშნებს გარკვეული ვადით შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას. ხელშეკრულების დროებით ხასიათზე უთითებს ის, რომ მოსარჩელის სამსახურში მიღების ერთ-ერთ საფუძველად მიეთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით პირი უკონკურსოდ ინიშნება დროებით მოვალეობის შემსრულებლად იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შევსებულიყო. დანიშვნის საფუძველად 12.02.13წ. ბრძანებაში დამატებით საქართველოს იუსტიციის მინისტრის 19.07.04წ. №835 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-5 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე მითითება, რომლის თანახმად, სააგენტოს თავმჯდომარე თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს), „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონის 12.2 მუხლის დებულების გათვალისწინებით, დანიშნულ პირს არ ანიჭებს მოხელის სტატუსს და არ ცვლის საქმიანობის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაწყებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ-ში დასაქმებული პირი არ არის საჯარო მოხელე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში (1.1 მუხ.), სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება (2.1 მუხ.). „საჯარო სამართლის იურიდიული, პირის შესახებ“ კანონის შესაბა-



მისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 19.07.04წ. №835 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ დებულების შესაბამისად, სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული სახელმწიფო დანესებულებების ჩამონათვალი, რომლებშიც საქმიანობა საჯარო სამსახურად ჩაითვლება, არ შეიცავს მითითებას საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე. საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ. №286 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრი“ შეიცავს მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი – აღსრულების ეროვნული ბიუროს ზოგიერთ თანამდებობაზე მითითებას (ბიუროს თავმჯდომარე, აღსრულების პოლიციის სამმართველოს და განყოფილების უფროსები). ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მუშაკი არ არის საჯარო მოსამსახურე, გარდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლით და „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული წესით დანიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელისა, რომლის დანიშვნა და გათავისუფლება ხდება სათანადო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (იხ. სუს დიდი პალატის 10.07.07წ. №ბს-132-123(კ-07) გადაწყვეტილება). სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შექმნილია „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონის საფუძველზე. „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ერთმნიშვნელოვნად უთითებს, რომ „ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები არ არიან არც საჯარო მოსამსახურეები და არც მათთან გათანაბრებული პირები“. სადავო აქტში განთავისუფლების ძირითად საფუძველად საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლია მითითებული, კერძოდ მისი „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველად ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლას. ამდენად, მოსარჩელის შრომითი საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის ძირითადი საფუძველი არის შრომითი ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითება იმაზე, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახორ-

ციელებს საჯარო საქმიანობას, არ ცვლის განსჯადობის წესს, ვინაიდან მოცემული დავა უკავშირდება არა სსიპ-ის საქმიანობას, არამედ მისი მუშაკის შრომით ურთიერთობას. საჯარო ფუნქციების დელეგირება შესაძლებელია არა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, არამედ აგრეთვე ფიზიკურ პირზე და კერძო სამართლის იურიდიულ პირებზეც, რაც ცხადია არ აქცევს მისი მუშაკის გათავისუფლებასთან დაკავშირებულ დავას ადმინისტრაციული კატეგორიის საქმედ. ამდენად, განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფუნქციებს, არამედ დავის საგნის შემხებლობას სამოხელეო სამართალურთიერთობასთან.

დაუსაბუთებელია აგრეთვე კოლეგიის მითითება სსიპ თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნის განსჯადობის საკითხის სამოსამართლო სამართლის საფუძველზე გადაწყვეტის საჭიროებაზე, ვინაიდან სწორედ რომ მასზე დაყრდნობით, კერძოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 10.07.07წ. (№ბს-132-123(კ-07)) გადაწყვეტილებით დადგინდა ამ ტიპის დავების სამოქალაქო სასამართლონარმოების წესით გადაწყვეტა. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითება ადმინისტრაციული სასამართლონარმოების ინკვიზიტორ ხასიათზე ასევე არ ცვლის დავის განსჯადობას, ვინაიდან შეჯობებითობის საწყისებზე აგებული პროცესი არანაირად არ გამოორიცხავს დავის სრულ და სამართლიან განხილვას.

საფუძველს არის მოკლებული აგრეთვე საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებაში მითითება საკასაციო სასამართლოს 06.04.11წ. №ბს-487-483(გ-11) განჩინებაზე. ხსენებული განჩინებით სარჩელი მოპასუხე – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნა არ განეკუთვნება ადმინისტრაციული კატეგორიის დავას. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სსიპ უფროსის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება არ არის სზაკ-ის 2.2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახუ-

რის შესახებ“ საქართველოს კანონში 20.11.2013წ. №1598-რს კანონით შეტანილი ცვლილებებით კანონის 111 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის მიხედვით, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების მოქმედება აგრეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე – 32-ე მუხლებით ხდება კონკურსის გამოცხადების, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის წარდგენისა და თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნის რეგულაცია. კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონკურსის წესით შესავსებ თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება არა უმეტეს 3 თვის ვადით, იმავე თანამდებობაზე განმეორებით დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა დაუშვებელია. ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კონკურსი უნდა ჩატარებულიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის საფუძველზე. თ.შ.ე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებს კონკურსის არამართლზომიერად ჩატარებაზე და აღნიშნავს, რომ საკონკურსო ტესტირებამ ჩაიარა არასასურველ გარემოში და არ იყო დადგენილი კომპეტენციის ზღვარი, ტესტების შინაარსი არ იყო შესაბამისობაში საკონკურსო პირობებში მითითებულ ნორმატიულ აქტებთან, თუმცა სადავოდ არ ხდის ჩატარებულ კონკურსს და სარჩელით არ მოითხოვს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის, საქართველოს პრეზიდენტის 05.02.2009წ. №46 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ და საქართველოს მთავრობის 18.06.14წ. №412 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის“ ნორმების საფუძველზე მისი შედეგების ბათილად ცნობას. დავის საგანს არ შეადგენს აგრეთვე სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კადრების შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი. ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 31.12.2013წ. ბრძანების კონკურსის შედეგების საფუძველზე გამოცემა, მოცემულ შემთხვევაში არ აქცევს დავას ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიად. ამასთანავე, სასამართლო კომპეტენციის სისრულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველ სასამართლოს ძალუძს გაერკვეს საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხში, სამოქალაქო

სამართალწარმოების წესით დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია დავის გადაწყვეტისას გამოიყენოს არამხოლოდ კერძო-სამართლებრივი, არამედ საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმები, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც დავა კომპლექსური ხასიათისაა და კერძო-სამართლებრივ საკითხებთან ერთად შეიცავს საჯარო-სამართლებრივ რეგულაციის ელემენტებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, საქართველოში მოქმედებს ერთიანი სასამართლო სისტემა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების კოლეგიებს შორის საქმეთა განაწილების საკითხი სწორედ რომ განსჯადობის და არა ქვემდებარობის კუთხით იხილება, დაუშვებელია განსჯადობის საკითხის ქვემდებარობის საკითხში გადაზრდა. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში არ წამოიჭრება პრეიუდიციის საკითხი, მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოების სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. მთავარი საკითხის გადამწყვეტ მოსამართლეს აქვს უფლება გადაწყვიტოს საკითხთა მთელი ერთობლიობა. ამდენად, სადავო აქტში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმების მითითება არ გამორიცხავს დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ დავა განსჯადობით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. შ-ის სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად და-

ექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამოქალაქო განსჯადობა

### განჩინება

№ბს-580-567(გ-14)

18 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 12 თებერვალს შპს „...“ სარჩელი აღძრა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიმართ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2011 წლის 15 ნოემბრის №344 ხელშეკრულების შესაბამისად დარჩენილი თანხის – 9400 ლარის შპს „...“ სასარგებლოდ დაკისრების თაობაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 16 აპრილის განჩინებით დაადგინა, რომ შპს „...“ სარჩელი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას და ნაცვლად ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმის ნომრისა მიანიჭა სამოქალაქო საქმეებისათვის დადგენილი სააღრიცხვო-სტატისტიკური ნომერი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად; მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტს მოსარჩელე შპს „...“ სასარგებლოდ დაეკის-

რა 2011 წლის 15 ნოემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №344 ხელშეკრულების შესაბამისად დარჩენილი თანხის – 9400 ლარის გადახდა; გარდაბნის მუნიციპალიტეტს დაეკისრა შპს „...“ სასარგებლოდ 282 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა გარდაბნის მუნიციპალიტეტმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 21 ნოემბრის განჩინებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის სააპელაციო საჩივარი დარჩა ხარვეზზე იმ მოტივით, რომ აპელანტს დაეზუსტებინა მოთხოვნა, გადაწყვეტილების გაუქმებით და ახალი გადაწყვეტილების მიღებით რა მოთხოვნის დაკმაყოფილება სურდა.

2013 წლის 28 ნოემბერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც გარდაბნის მუნიციპალიტეტს შპს „...“ სასარგებლოდ დაეკისრა 9400 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 282 ლარის ანაზღაურება და დაეკისროს შპს „...“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №344 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების არაჯეროდ შესრულების გამო 9562,91 ლარის გადახდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 დეკემბრის განჩინებით თვითმმართველი ერთეული გარდაბნის მუნიციპალიტეტის სააპელაციო საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლება-

მოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ამდენად, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება, რომ გახდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება აუცილებელია, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდეს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

ამავე კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შორის 2011 წლის 15 ნოემბერს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №344 ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „...“ უნდა ეწარმოებინა სოფ. ... სპორტული მოედნის მოწყობის, სოფ. ... სასაფლაოს შემოღობვისა და სოფ. ... სკვერისა და წყაროს მოწყობის სამუშაოები.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლი განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებს, მათ შორის: სასაფლაოების მოვლა-პატრონობა; ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ორგანიზება და სხვ..

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შორის დადებულია ხელშეკრულება თვითმმართველი ერთეულის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. შესაბამისად, იგი უნდა ჩაითვალოს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად, ხოლო მისგან გამომდინარე მოთხოვნები განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა 2014 წლის 14 მაისის განჩინებით არ დაეთან-

ხმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №201 განკარგულებით, „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 19-ე მუხლის საფუძველზე და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №20 დადგენილების შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამოუყო 40 000 000 (ორმოცი მილიონი) ლარი ამ განკარგულების დანართის მიხედვით. დანართის მიხედვით გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 200 593 ლარი. ამავე განკარგულების მეორე პუნქტის მიხედვით, ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა აღნიშნული თანხების წარმართვა უნდა უზრუნველყონ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №20 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მე-2 და მე-5 მუხლების შესაბამისად. მესამე პუნქტის თანახმად კი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup>-ე მუხლის 3-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული შესყიდვების საშუალებით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სოფ. ... სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოების, სოფ. ... სკვერის მოწყობის სამუშაოების და ... სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით ჩატარებულ იქნა SPA110026381 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, რასაც ადასტურებს სატენდერო კომისიის 2011 წლის 24 ოქტომბრის, 2011 წლის 2 ნოემბრის ოქმები და რომლის მიხედვითაც კომისიამ დაადგინა, რომ შპს „...“ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 15 ნოემბერს შპს „...“, რომელსაც წარმოადგენდა მისი დირექტორი და თვითმმართველ ერთეულს – გარდაბნის მუნიცი-



პალიტიკოს შორის, რომელსაც წარმოადგენდა ამავე მუნიციპალიტიტის საკრებულოს თავმჯდომარე, გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა გარდაბნის მუნიციპალიტიტში სოფ. ... სასაფლაოს შემოღობვის, სოფ. ... სკვერის მოწყობის და ... სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესრულება.

ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 38 424 ლარით. სოფ. ... სასაფლაოს შემოღობვის ღირებულება შეადგენდა 4 767.10 ლარს, სოფ. ... სკვერის მოწყობის – 14 382.68 ლარს და სოფ. ... სპორტული მოედნის მოწყობის – 19 274.22 ლარს. მხარეებმა გაითვალისწინეს ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია), რომლის მიხედვით სს „...“, შპს „...“ ვალდებულების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელი იქნებოდა არა უმეტეს 1 922 ლარისა, რაც შეადგენდა ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დასრულების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 31 დეკემბერი.

ხელშეკრულებით მხარეებმა კონკრეტულად განსაზღვრეს უფლება-მოვალეობები, გაითვალისწინეს პირგასამტეხლოს ოდენობა ვალდებულების შეუსრულებლობისა ან არაჯეროვანი შესრულებისთვის. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები. ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა ტექნიკური დავალება, რომელიც ითვალისწინებდა სამუშაოთა მიღება-ჩაბარების და ხელშეკრულების შესრულების კონტროლის წესს.

შპს „...“ 2011 წლის 24 დეკემბრის მიმართვის საფუძველზე 2011 წლის 29 დეკემბერს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება სოფ. ... სკვერის მოწყობის სამუშაოების დამთავრების ვადის გაგრძელების შესახებ 2012 წლის 20 იანვრამდე.

2012 წლის 24 იანვარს შპს „...“ მიმართა გარდაბნის მუნიციპალიტიტს და აცნობა სამშენებლო ობიექტების დასრულების ვადის შესახებ და ითხოვა 2012 წლის 27 იანვრისთვის მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება. მოპასუხე ადასტურებს 2012 წლის 27 იანვარს სამუშაოთა დასრულების ფაქტს.

მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმდა 2012 წლის 2 თებერვალს. აღნიშნული აქტები არ ერთვის საქმეს, რადგან ისინი არ წარმოადგინა არც ერთმა მხარემ.

ხელშეკრულების ღირებულებიდან მოსარჩელე მხარეს დაეკვიტა 9400 ლარი, როგორც პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო ... სასაფლაოს და ... სპორ-

ტული მოედნის მოწყობის ნაწილში. თანხის გაქვითვის ფაქტი არ გაუხდია სადავოდ მოპასუხე მხარეს.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ არ შემდგარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტები შესრულებული სამუშაოების ეტაპობრივი მიღების ან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დავის საგანს არ წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურა, რომელიც წინ უძღვოდა 2011 წლის 15 ნოემბრის №344 ხელშეკრულების დადებას. დავის საგანია ტენდერში გამარჯვებული მოსარჩელის – შპს „...“ მიერ 2011 წლის 15 ნოემბერს დადებული №344 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხის მხრიდან ვალდებულების შესრულება, შპს „...“ მისაღები ანაზღაურებიდან პირგასამტეხლოს სახით დაქვითული თანხის – 9400 ლარის გადახდა. ამდენად, იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვების მომწესრიგებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით, არ ადასტურებს მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საჭიროებას.

იმისთვის, რომ ხელშეკრულება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად, მისი მონაწილე ერთ-ერთი მხარე მაინც უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო; თუმცა ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს არა მარტო ხელშეკრულების მონაწილე პირის (პირების) ვინაობა, მათი სტატუსი და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, არამედ ის მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ხელშეკრულების დადება; კერძოდ, ხელშეკრულება ადმინისტრაციულია, თუ იგი იდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ კანონით.

იმავე კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მხოლოდ თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე: „... სასაფლაოების მოვლა-პატრონობა“; „ჟ“ ქვეპუნქტი – თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება“; ხოლო, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თვით-

მმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა სახეებია: ა) საკუთარი უფლებამოსილებები; ბ) დელეგირებული უფლებამოსილებები, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეული საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით, რომელთა უფლებამოსილებანი, სტრუქტურა და საქმიანობის წესი ამ კანონის შესაბამისად განისაზღვრება საკრებულოს დებულებით (რეგლამენტი) და გამგეობის (მერიის) დებულებით.

2011 წლის 15 ნოემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №344 ხელშეკრულების დადებას წინ უძღვოდა SPA110026381 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარება.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტმა საჯარო უფლებამოსილება განახორციელა, ანუ გადაწყვეტილება სოფ. ... სპორტული მოედნის მოწყობის, სოფ. ... სასაფლაოს შემოღობვის და სოფ. ... სკვერის და წყაროს მოწყობის საკითხზე მიიღო არა ხელშეკრულების დადების და შესრულების, არამედ ხელშეკრულების დადებამდე მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში – მთელი რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის გზით.

ადმინისტრაციულ ორგანოს – გარდაბნის მუნიციპალიტეტს სოფ. ... სპორტული მოედნის, სოფ. ... სასაფლაოს შემოღობვის, სოფ. ... სკვერის და წყაროს მოწყობისას საჯარო უფლებამოსილება არ განუხორციელებია 2011 წლის 15 ნოემბრის ხელშეკრულების დადებისას. ასევე, ამავე ხელშეკრულებით ადმინისტრაციულ ორგანოს ხელშეკრულების მეორე მხარისთვის – შპს „...“ არ დაუვალვია საჯარო სამართლის საკანონმდებლო აქტით – „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მხოლოდ და მხოლოდ თვითმმართველი ერთეულისთვის განსაზღვრულ ექსკლუზიურ უფლებამოსილებათაგან ერთ-ერთის – სასაფლაოების მოვლა-პატრონობის და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის უზრუნველყოფის შესახებ საკითხზე გადაწყვეტილებათა მიღება; ანუ ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების პირობებში გარდაბნის მუნიციპალიტეტს შპს „...“ არ გადაუცია ამ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2011 წლის 15 ნოემბერს ადმინისტრაციულ ორგანოს – გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და კერძო სამართლის იურიდიულ პირს – შპს „...“ შორის დადებული სახელმწიფო შეს-

ყიდვების შესახებ ხელშეკრულება №344 წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ, არამედ კერძო სამართლებრივ ხელშეკრულებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, მოცემულ შემთხვევაში გარდაბნის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციული ორგანოა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, თუ აღნიშნული მისი შეხედულებით, უფრო მისაღებია და არ ეწინააღმდეგება საჯარო სამართლებრივ ნორმებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup>-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.2, 65<sup>1</sup>-ე მუხლების თანახმად, განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მიზანს და არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის ძირითად ელემენტს წარმოადგენს – ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსით. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადე-

ბის შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები იძენენ სამოქალაქო-სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს. განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მისაღები ანაზღაურებიდან დაქვითული თანხის დაბრუნება, კერძოდ, შპს „...“ მისაღები ანაზღაურებიდან პირგასამტეხლოს სახით დაქვითული თანხის – 9400 ლარის გადახდა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა იკისრა სოფ. ... სპორტული მოედნის მოწყობის, სოფ. ... სასაფლაოს შემოღობვისა და სოფ. ... სკვერის და წყაროს მოწყობის სამუშაოების შესრულების ვალდებულება, ანუ გარკვეული სამუშაოების შესრულება სათანადო საფასურის გადახდის სანაცვლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით. ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების მოვალეობის წარმოქმნას, ხელშეკრულების დადების შედეგად მხარის საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვას. მოცემულ შემთხვევაში, პალატის აზრით, ასეთ შემთხვევას ადგილი არ აქვს, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისრა შესრულებულ სამუშაოთა მიღების შედეგად თანხის გადახდის ვალდებულება, ამდენად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოქმნის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ლონისძიების განხორციელების ვალდებულებას.

მოსარჩელე – შპს „...“ მოთხოვნის საფუძველად უთითებს სამოქალაქო კოდექსის 316-ე (ვალდებულების ძალით კრედიტორის უფლებამოსილება მოითხოვოს მოქმედების შესრულება), 317-ე (ვალდებულების წარმოშობის საფუძველები) და 361-ე (ვალ-

დებულების არსებობის პრეზუმფცია) მუხლებს. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება, შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის, აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 25<sup>1</sup>-ე მუხლის, 65.2, 65<sup>1</sup>-ე მუხლების საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას განეკუთვნება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა მიერ სააპელაციო საჩივრის განხილვის პროცესში განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დავის წარმოებაზე უარის თქმა, არ ათავისუფლებს სააპელაციო სასამართლოს განსჯადობის დაცვით საქმის განხილვისგან, განსჯადობის საკითხის თავისი ინიციატივით შემოწმებისგან, ვინაიდან განსჯადობის საკითხი არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. აღნიშნულს არ ცვლის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე, 377.5 მუხლები, დაუშვებელია არაგანსჯადი სასამართლოს განსჯადად მიჩნევა მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, რადგან განსჯადობის დადგენილი წესები საჯარო სფეროში უფლების დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს.

კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება საქმე. ამდენად, სასამართლოს, რომელსაც არ გააჩნია საქმის განხილვის იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა განაცხადოს ამის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც განსჯადობის საკითხს არც ერთი მხარე არ აყენებს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო საქმეს არსებითი განხილვისათვის გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესი, რომლის თანახმად სასამართლო ვალდებულია, სარჩელი გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს და დასაშვებია სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხზე დავა, განსჯადობის საკითხის სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებლობას აძლევს სა-

სამართლოს მხარისგან დამოუკიდებლად დააყენოს განსჯადობის საკითხი სადავო სამართალურთიერთობის კვლევის შემდგომ ეტაპებზე, მათ შორის, ზემდგომ ინსტანციებში განხილვის პროცესშიც, შესაბამისად, ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტსა და შპს „...“ შორის დადებული 2011 წლის 15 ნოემბრის №344 ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო ხელშეკრულებას და მისგან წარმოშობილი დავა განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ საქმე განსჯადობით უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს ხელშეკრულებით შეუსრულებელი ვალდებულების ანაზღაურება, ხოლო საკასაციო სასამართლოს შეფასების ობიექტს – დავის საგნის საფუძვლის – ხელშეკრულების სამართლებრივი კვალიფიკაცია, რამაც უნდა განაპირობოს ადეკვატური სამართალწარმოება.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის მიხედვით საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2. მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2. მუხლის გ) ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულებ

ბა, შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები ადმინისტრაციული სამართალწარმოების, ხოლო ამავე კოდექსის 25<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადება, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ კატეგორიას განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა, როგორც თვითმმართველობის ორგანო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებს წარმოადგენს სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ორგანიზება და სხვ..

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო ამოცანების მისაღწევად მინიჭებული აქვს უფლებამოსილება საქმიანობის სხვადასხვა სამართლებრივი ფორმების გამოყენების თაობაზე, კერძოდ, ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს, როგორც საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი, ასევე, კერძო-სამართლებრივი (სამოქალაქო ხელშეკრულება) ფორმები.

საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ – ხელშეკრულების მიზანს. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად უნდა დაკვალიფიცირდეს, თუ:

1. შესაფასებელი ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობა;

2. შესაფასებელი ხელშეკრულების საგანი ემსახურება საჯარო მიზნის მიღწევასა და საჯარო ინტერესების აღსრულებას.



ბას;

3. სამართალურთიერთობის შედეგი განაპირობებს საზოგადო ამოცანის გადაწყვეტას.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ისეთი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს, შეცვლის ან შეწყვეტს სამართლებრივ ურთიერთობას საჯარო სამართლის სფეროში. ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, როგორც წესი, ორგანიზაციული ხასიათისაა, რამდენადაც თვით ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაა ორგანიზაციული. მათი მიზანია საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა, საჯარო – სამართლებრივი ინტერესის განხორციელება. ხელშეკრულებათა გამიჯვნის დროს აქცენტი უნდა გამახვილდეს ხელშეკრულებით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობისას ვისი ინტერესები დგას წინა პლანზე: ერთეულების კერძო ინტერესები თუ საჯარო ინტერესები (ინტერესთა თეორია). აუცილებელია, შევადგასოთ წინამდებარე ხელშეკრულებით მოწესრიგებული სამართალურთიერთობისას რომელი ინტერესია პრიორიტეტული: კერძო თუ საჯარო ინტერესი.

საერთოდ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები იყოფა სუბორდინაციულ-სამართლებრივ და კოორდინაციულ-სამართლებრივ ხელშეკრულებებად, რომელთა შორის განსხვავება გამომდინარეობს კონტრაქტებს შორის ურთიერთობის ხასიათიდან. საჯარო-სამართლებრივი ხელშეკრულებები, რომელთაც სუბორდინაციულ-სამართლებრივი ხასიათი აქვთ, იდება ადმინისტრაციულ ორგანოებსა და პირებს შორის, ის ხელშეკრულებები კი, რომელთაც კოორდინაციულ-სამართლებრივი ხასიათი გააჩნიათ, იდება მმართველობის ორგანოებს შორის. თუმცა, ამგვარი ხელშეკრულებები ასევე შეიძლება დაიდოს სახელმწიფოსა და პირს შორის, სწორედ ისეთ შემთხვევებში, როცა მხარეები, მთლიანობაში რჩებიან სუბორდინაციული ურთიერთობების ჩარჩოში, დებენ ხელშეკრულებას, რომლის საგანიც გამოდის ურთიერთდაქვემდებარებული ურთიერთობების ჩარჩოდან. ასეთის მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ გერმანიის პრაქტიკა, სადაც ხელშეკრულებები საზოგადოებრივი მიზნებისთვის მიწის ათვისების შესახებ გერმანიის სამშენებლო კოდექსის 124-ე მუხლის შესაბამისად, მიჩნეულია კოორდინაციულ-სამართლებრივ ხელშეკრულებებად. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც პირებს შეუძლიათ დადონ საჯარო-სამართლებრივი ხელშეკრულებები, რომელთაც კოორდინაციულ-სამართლებრივი ხასიათი გააჩნიათ, მაგ., როცა კანონმდებლობის შესაბამისად, კერძო სამართლის სუბიექტები თავის თავზე იღე-

ბენ სახელმწიფო მმართველობის ფუნქციის შესრულებას.

საკაცაციო სასამართლო არ იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „...“ შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, შემდეგ გარემოებათა გამო:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „...“ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „...“ იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, გარდაბნის მუნიციპალიტეტში – სოფ. ... სპორტული მოედნის მოწყობის, სოფ. ... სასაფლაოს შემოღობვისა და სოფ. ... სკვერისა და წყაროს მოწყობის სამუშაოების შესრულება.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ კანონით.

ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მხოლოდ თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე: „...სასაფლაოების მოვლა-პატრონობა“; თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება“ /„უ“ ქვეპუნქტი/, ხოლო, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა სახეებია: ა) საკუთარი უფლებამოსილებები; ბ) დელეგირებული უფლებამოსილებები, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეული საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით, რომელთა უფლებამოსილებანი, სტრუქტურა და საქმიანობის წესი ამ კანონის შესაბამისად განისაზღვრება საკრებულოს დებულებით (რეგლამენტი) და გამგეობის (მერიის) დებულებით.

საკაცაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობის საფუძველი – ხელშეკრულება უდავოდ დადებულია თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილების სფეროში, მაგრამ მხოლოდ ეს გარემოება არ წარმოადგენს მის ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად განმსაზღვრელ ფაქ-

ტორს, რამდენადაც საკუთარი უფლებამოსილების არეალში მოქცეული კომპეტენციები შესაძლებელია სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით განხორციელდეს, მათ შორის კერძო-სამართლებრივი ფორმითაც.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციას, რასაკვირველია, ადმინისტრაციული კანონმდებლობა განსაზღვრავს, თუმცა, მისი განხორციელების ფორმები სხვადასხვა დარგის სამართლის კანონებით წესრიგდება, ამდენად, არგუმენტი, რომ ხელშეკრულების დადების კომპეტენცია ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგინდა, არასაკმარისია, ხელშეკრულებათა კვალიფიკაციისათვის. მოცემულ შემთხვევაში, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს არა კომპეტენციის, არამედ ხელშეკრულების შინაარსობრივი თვალსაზრისით მაკვალიფიცირებული დარგობრივი კანონმდებლობა, რამდენადაც საქართველოს ნორმატიული ბაზა მათ ორი დარგის – სამოქალაქო და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჯნავს.

საქმის მასალების მიხედვით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ სოფ. ... სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოების, სოფ. ... სკვერის მოწყობის სამუშაოების და ... სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით ჩატარებულ იქნა SPA110026381 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

2011 წლის 15 ნოემბერს შპს „...“ და თვითმმართველ ერთეულს – გარდაბნის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომლის საგანს წარმოადგენდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფ. ... სასაფლაოს შემოღობვის, სოფ. ... სკვერის მოწყობის და ... სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესრულება.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების – სოფ. ... სპორტული მოედნის მოწყობის, სოფ. ... სასაფლაოს შემოღობვისა და სოფ. ... სკვერისა და წყაროს მოწყობის სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულების საგნობრივი კვალიფიკაციისათვის არსებითია გაირკვეს, სახეზე არის თუ არა ისეთი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს, შეცვლის ან შეწყვეტს სამართლებრივ ურთიერთობას საჯარო სამართლის სფეროში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, ცალსახაა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით, არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას.

საკაცაციო სასამართლოს შეფასებით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოსთან კონკრეტულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესული საწარმო – შპს „...“ მიერ ნაკისრი ვალდებულებები არ ატარებს საჯარო-სამართლებრივ ხასიათს, არ ემსახურება მმართველობითი ფუნქციის უშუალო შესრულების მიზანს. ამგვარი ვალდებულებების – ტერიტორიის შემოღობვა, მოწყობა, შემსრულებლად საწარმო სავსებით შესაძლებელია მოგვევლინოს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც, მაშინ, როცა ადმინისტრაციული ხელშეკრულების კონტრაჰენტი ფიზიკური და იურიდიული პირები მმართველობითი ფუნქციის განხორციელებაში მონაწილეობენ, რასაც ვერცერთ შემთხვევაში ვერ ექნება ადგილი სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას.

საკაცაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული ხელშეკრულების საგანი იმგვარ სამართლებრივი მნიშვნელობას ატარებს, რომ მისი მიღწევა სავსებით ლოგიკურად შესაძლოა განხორციელდეს სამოქალაქო-სამართლებრივი ფორმებით, შესაბამისად, მისი ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის წინაპირობა არ არსებობს.

წინამდებარე ხელშეკრულება უშუალოდ არ ემსახურება საჯარო ამოცანების გადაწყვეტას, რის გამოც ობიექტური შეფასებისას ცხადია, რომ მისი დადებისას პრიორიტეტული არ არის საჯარო ინტერესი.

საკაცაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებათა გამიჯვნისას ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამიჯნონ ადმინისტრაციული ორგანოების მმართველობითი ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელი საქმიანობის ფორმების სახეები, კერძოდ, ის ფუნქციები, რომელიც შესაძლოა შესრულდეს სამოქალაქო ხელშეკრულებათა მეშვეობით, მხარეთა თანასწორობისა და ნების თავისუფლების პირობებში, არ შეიძლება მონესრიგდეს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა დადების გზით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სუბიექტი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამო-

ქალაქო სამართალწარმოების წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სააპელაციო საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რის გამოც საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სააპელაციო საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. ტერიტორიული განსჯაღოზა

#### განჩინება

№ბს-161-159(გ-14)

29 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 3 დეკემბერს ც. მ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და რუსთავის სარეესტრაციო სამსახურის მიმართ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 1 ნოემბრის №200799 და ხელვაჩაურის სარეესტრაციო სამსახურის 2013 წლის 19 ივლისის №15812 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 დეკემბრის განჩინებით ც. მ-ს სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი. კერძოდ, მოსარჩელეს დაევალა მოპასუხეთა დაზუსტება და სადავო აქტის სასამართლოში წარდგენა.

2013 წლის 20 დეკემბერს ც. მ-ის წარმომადგენელმა ე. პ-ემ დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ხელვაჩაურის სარეესტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 1 ნოემბრის №200799 გადაწყვეტილებისა და ხელვაჩაურის სარეესტრაციო სამსახურის 2013 წლის 19 ივლისის №15812 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და დაევალოს ხელვაჩაურის სარეესტრაციო

სამსახურს დაარეგისტრიროს ც. მ-ის სახელზე დარჩენილი 20 კვ.მ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევა-  
ლოს დაარეგისტრიროს ც. მ-ის ქონება იმ ნაწილში, რომელიც  
არ არის ე.წ. გადაფარვის ქვეშ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიამ 2013 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ც. მ-ის  
სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა ხელვა-  
ჩაურის რაიონულ სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად,  
სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირ-  
თვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგ-  
რეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასთან და ფლობასთან  
დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ  
შორის, მიწის ნაკვეთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს  
სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემ-  
თხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ სადავო უძრავი ქონება  
მდებარეობს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ..., ნივთობრივი გან-  
სჯადობის შესაბამისად, ხელვაჩაურის რაიონული სასამარ-  
თლოს განსჯადია.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო 2014 წლის 5 მარტის  
განჩინებით არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს  
და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის სა-  
ფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე გან-  
სჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზე-  
ნაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 7  
აგვისტოს №1/170 გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა  
ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტე-  
რიტორია განისაზღვრა ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხუ-  
ლოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის №4757  
დადგენილების თანახმად, „ერთი მხრივ, თვითმმართველ ქა-  
ლაქ ბათუმსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს და, მეორე  
მხრივ, თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და ქობულეთის მუნი-  
ციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის  
თაობაზე“, ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ად-  
მინისტრაციული საზღვრების შეცვლასთან დაკავშირებით ხელ-  
ვაჩაურის მუნიციპალიტეტის რიგი ტერიტორიები მოექცა ქ. ბა-  
თუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რამაც განაპირობა ხელ-

ვარაუდის მუნიციპალიტეტის გარკვეული ტერიტორიული ერთეულების თემების ნაწილობრივ დაყოფა.

რაიონული სასამართლოს დასკვნით, დავის საგანს წარმოადგენს უძრავი ქონება, მდებარე, ხელვაჩაური, ..., რომელიც დღეის მდგომარეობით თვითმმართველი ქალაქი ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებშია შესული და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, ც. მ-ის საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, მიაჩნია რომ ც. მ-ის სარჩელი საქმესთან ერთად უნდა დაუბრუნდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლის საფუძველზე სასამართლოთა შორის დავა საქმის განსჯადობის თაობაზე, შესაბამისად, სახეზე არ არის ამავე მუხლით დადგენილი საკასაციო სასამართლოს იურისდიქცია – სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის უფლებამოსილების თაობაზე, რამდენადაც ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო არ დავობს, რომ საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განხილვას ექვემდებარება, არამედ, მიაჩნია, რომ საქმე სრულიად სხვა – ბათუმის საქალაქო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. აღწერილ ვითარებაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით, არამედ ამავე კოდექსის 26.2. მუხლით და საქმე გადაეგზავნა უფლებამოსილი სასამართლოსათვის, რომელიც თუ მიიჩნევდა, რომ განსჯად სასამართლოს წარმოადგენდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლის საფუძველზე წამოიწყებდა დავას განსჯადობის შესახებ, რა შემთხვევაშიც საკასაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსი-



ლება – გადაწყვიტოს დავა სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, სახეზე იქნებოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავა განსჯადობის თაობაზე რომლის გადაჭრის უფლებამოსილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის საფუძველზე გააჩნია საკასაციო სასამართლოს, გულისხმობს სასამართლოთა შორის შეუთანხმებლობას დავის საგანთან მიმართებაში სასამართლოს უფლებამოსილების პრინციპის გათვალისწინებით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მსჯელობა სასამართლოთა შორის ასეთი დავის არსებობისა და შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით დადგენილი წესით საქმის საკასაციო სასამართლოსთვის გადაგზავნის თაობაზე დაუსაბუთებელია, რამდენადაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ საქმე ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში გადაგზავნილ იქნა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო უძრავი ქონება მდებარეობს ხელვაჩაურის რაიონის, სოფელ ... . ხოლო ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. და სსსკ-ის მე-18 მუხლების საფუძველზე საქმე უნდა გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველად იმ მოტივით, რომ საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის №4757 დადგენილების თანახმად, სადავო უძრავი ქონება, მდებარე, ხელვაჩაური, ... დღეის მდგომარეობით თვითმმართველი ქალაქი ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, ნაცვლად განსჯადობაზე დავის წამოწყებისა. ამასთან, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა კლასიკური დავა სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თუ ბათუმის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმებოდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მსჯელობას დავის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განსჯადად მიჩნევის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლო განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უფლებამოსილი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ საქმის გადაგზავნის შემდეგ ბათუმის საქალაქო სასამართლო წამოიწყებდა დავას ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად

სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის ადმინისტრაციული სასამართლოს უფლებამოსილება კონკრეტულ დავასთან მიმართებაში, არამედ სადავო ტერიტორიული განსჯადობა სსსკ-ის მე-18 მუხლის საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოსთან, რომლის მსჯელობის საგანი არც გამხდარა წინამდებარე საქმის განხილვის კომპეტენცია, რაც ნათლად მიანიშნებს, რომ ამ ვითარებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებს შორის არ არსებობს დავა განსჯადობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დაშვებული სასამართლოებს შორის საქმის განსჯადობის შესახებ დავა უზრუნველყოფილია და ემსახურება საქმის მხოლოდ იურისდიქციული ორგანოს მიერ განხილვის იმპერატიული დანაწესის შესრულებას, ხოლო საკასაციო სასამართლოსათვის მინიჭებული კომპეტენცია განსჯადობის შესახებ გულისხმობს ორი სასამართლოს მსჯელობის სამართლებრივ შეფასებას. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საკასაციო სასამართლო მსჯელობს მოდავე სასამართლოების დასაბუთებულ შეხედულებებზე კომპეტენციის თაობაზე და წყვეტს დავას სწორედ ერთ-ერთი სასამართლოს მსჯელობის, სამარ-

თლებრივი კვალიფიკაციის გაზიარების საფუძველზე, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსჯადობის შესახებ დავის არარსებობის გამო საქმე უნდა დაუბრუნდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე, მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ც. მ-ის სარჩელი მოპასუხეების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ დაუბრუნდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს;

2. წინამდებარე განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ტერიტორიული განსჯადობა

## განჩინება

№ბს-244-241(გ-14)

5 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა:**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე; მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 27 დეკემბერს თ. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 29 ოქტომბრის №882013470903-09 გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 25 ნოემბრის №219175 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. მოსარჩელემ, ასევე, ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე 2089 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) დაზუსტებული მონაცემებით მის საკუთრებად რეგისტრაციის დავალტება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 3 იანვრის განჩინებით თ. მ-ის სარჩელი მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, მესამე პირების – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ-

ლი სააგენტოს მონაწილეობით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლზე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე და აღნიშნა, რომ სადავო უძრავი ქონება მდებარეობს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ..., რის გამოც თ. მ-ის სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განსჯადობით განსახილველად უნდა გადაგზავნილიყო ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში.

ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მოსარჩელემ წარადგინა დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 29 ოქტომბრის №882013470903-09 გადაწყვეტილების, ამავე სამსახურის 2013 წლის 27 ნოემბრის №882013470903-10 გადაწყვეტილების, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 25 ნოემბრის №219175 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. მოსარჩელემ, ასევე, ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე 2089 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) დაზუსტებული მონაცემებით მის საკუთრებად რეგისტრაციის დავალება მოითხოვა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 2 აპრილის განჩინებით თ. მ-ის სარჩელი სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადმოეგზავნა.

ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 7 აგვისტოს №1/170 გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. ამასთან, საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის №4575-ის დადგენილების თანახმად, ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლასთან დაკავშირებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რიგი ტერიტო-

რია მოექცა ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში. განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს უძრავი ქონება, მდებარე სოფელ ..., რომელიც დღეის მდგომარეობით თვითმმართველ ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებშია შესული. შესაბამისად, სსკ-ის მე-18 მუხლის საფუძველზე, თ. მ-ის სარჩელი წარდგენილი უნდა ყოფილიყო სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თ. მ-ის სარჩელი განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ თ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოი-

ყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნავს, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც ქონების უფლებრივი დატვირთვის, ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, „ერთი მხრივ, თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს და, მეორე მხრივ, თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის №4757-ის დადგენილების თანახმად, ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლასთან დაკავშირებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რიგი ტერიტორიები მოექცა ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული ცვლილების შესაბამისად, მახვილაურის მეურნეობის მიმდებ-

რე ტერიტორია ქ. ბათუმის შემადგენლობაში შევიდა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 29 ოქტომბრის №882013470903-09 გადაწყვეტილების, ამავე სამსახურის 2013 წლის 27 ნოემბრის №882013470903-10 გადაწყვეტილების, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 25 ნოემბრის №219175 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე 2089 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) დაზუსტებული მონაცემებით მის საკუთრებად რეგისტრაციის დავალება წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან სადავო უძრავი ქონება ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს, წარმოდგენილი სასარჩელო განცხადება ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე განსახილველად უნდა გადაეგზავნოს განსჯად ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



# ტერიტორიული განსჯადობა

## განჩინება

№ბს-271-268(გ-14)

10 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 28 დეკემბერს ო. ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – მ. ი-ის მიმართ.

მოსარჩელემ მ. ი-ის კუთვნილი ხელვაჩაურის რაიონი, სოფელ ... მდებარე უძრავი ქონების სამეზობლო საზღვრების გაუქმება, ხოლო სარჩელის დაზუსტების შემდეგ საკადასტრო აზომვითი ნახაზით დადგენილი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრის გაუქმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის განჩინებით ო. ძ-ის სარჩელი სა გამო საქმეზე შეწყდა წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა ო. ძ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 ივლისის განჩინებით ო. ძ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს ჩართულობით განსჯადობის საკითხზე მსჯელობისა და საჭიროების შემთხვევაში, დასაბუთებული განჩინების საფუძველზე საქმის ადმინისტრაციულ კოლეგიაში გადაგზავნის მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 ნოემბრის განჩინებით ო. ძ-ის სარჩელისა გამო სამოქალაქო საქმეზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ჩაბმულ იქნა მოპასუხედ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 იანვრის განჩინებით დაკმაყოფილდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა არასათანადო მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სათანადო მოპასუხით – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურით შეცვლისა და საქმის განსჯადობით ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე; ო. ძ-ის სარჩელი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის და მ. ი-ის მიმართ საკადასტრო აზომებით ნახაზით დადგენილი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრის გაუქმების შესახებ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად განსჯადობით ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის №835 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების მეშვეობით. საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მხარე სადავოდ ხდის ხელვაჩაურის რაიონში მდებარე უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ რეგისტრირებულ მონაცემებს, რის გამოც არასათანადო მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უნდა შეიცვალოს სათანადო მოპასუხით – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩა-

ურის სარეგისტრაციო სამსახურით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საქალაქო სასამართლოს მითითებით, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საკადასტრო აზომვითი ნახაზით დადგენილი საზღვრის გაუქმება, რაც საფუძვლად დაედო უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ 25-ე მუხლის მიხედვით (საკადასტრო მონაცემებისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზის ცნება), საკადასტრო მონაცემები არის ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით ასახული, მინის ნაკვეთის საზღვრის კონფიგურაციის და ადგილმდებარეობის, მასზე არსებული ნაგებობების, მათ შორის ხაზოვანი ნაგებობების, ასევე სერვიტუტის ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლებს შესახებ გრაფიკულად და ტექსტურად გამოსახული ზუსტი ინფორმაცია. საკადასტრო აზომვითი ნახაზი არის ამ ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით შესრულებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების ამსახველი დოკუმენტი. ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახური ვალდებულია დაეყრდნოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიერ შესრულებულ საკადასტრო აზომვით ნახაზს, თუ იგი აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციითა და საქართველოს კანონმდებლობით საკადასტრო აზომვითი ნახაზისთვის დადგენილ აუცილებელ მოთხოვნებს. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე. ისინი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. ამავე კანონის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს სარეგისტრაციო მოთხოვნის რეგისტრირებულ მონაცემებთან იდენტურობა წარმოადგენს. ამდენად, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით,

ო. ძ-ის სარჩელი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალ-წარმოების წესით განსახილველ საქმეს.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ო. ძ-ის სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის განჩინებით ო. ძ-ის სარჩელი ერთი დონის სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადმოეგზავნა.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე; ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ზოგადად უშვებს სასამართლოებს შორის დავას, რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სამოქალაქო სასამართლოებისაგან განსხვავებით, დაიშვება არა მხოლოდ საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებული დავა, არამედ აგრეთვე ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებული დავა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც

ექვემდებარება მისი საქმე.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 7 აგვისტოს №1/170 გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის №4757-ლს დადგენილების თანახმად, „ერთი მხრივ, თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს და, მეორე მხრივ, თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე“, ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რიგი ტერიტორიები მოექცა ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში. აღნიშნულმა განაპირობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გარკვეული ტერიტორიული ერთეულების თემების ნაწილობრივ დაყოფა.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში როგორც სასარჩელო განცხადებით ირკვევა დავის საგანს წარმოადგენს სოფელ ... მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც დღეის მდგომარეობით თვითმმართველი ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებშია შესული. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, ო. ძ-ის სარჩელი წარდგენილი უნდა ყოფილიყო სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ო. ძ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა და-

ექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად მიაჩნია, რომ ო. ძ-ის სარჩელი საქმესთან ერთად უნდა დაუბრუნდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლის საფუძველზე სასამართლოთა შორის დავა საქმის განსჯადობის თაობაზე, შესაბამისად, სახეზე არ არის ამავე მუხლით დადგენილი საკასაციო სასამართლოს იურისდიქცია – სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის უფლებამოსილების თაობაზე, ვინაიდან ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო არ დავობს, რომ საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ განხილვას ექვემდებარება, არამედ, მიაჩნია, რომ საქმე სრულიად სხვა – ბათუმის საქალაქო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, არამედ ამავე მუხლის მე-2 ნაწილით და საქმე გადაეგზავნა უფლებამოსილი სასამართლოსათვის, რომელიც თუ მიიჩნევდა, რომ განსჯად სასამართლოს წარმოადგენდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლის საფუძველზე წამოიწყებდა დავას განსჯადობის შესახებ, რა შემთხვევაშიც საკასაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება, გადაწყვიტოს დავა სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, სახეზე იქნებოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავა განსჯადობის თაობაზე რომლის გადაჭრის უფლებამოსილება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლის საფუძველზე გააჩნია საკასაციო სასამართლოს, გულისხმობს სასამართლოთა შორის შეუთანხმებლობას დავის საგანთან მიმართებაში სასამართლოს უფლებამოსილების პრინციპის გათვალისწინებით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის,

რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მსჯელობა სასამართლოთა შორის ასეთი დავის არსებობისა და შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით დადგენილი წესით საქმის საკასაციო სასამართლოსათვის გადმოგზავნის თაობაზე დაუსაბუთებელია, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ საქმე ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში გადაგზავნილ იქნა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ო. ძ-ის სარჩელი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს, სადავო უძრავი ქონება კი სოფელ ... მდებარეობს; ხოლო ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლების საფუძველზე, ნაცვლად განსჯადობაზე დავის წამოწყებისა, საქმე უნდა გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველად იმ მოტივით, რომ საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის №4757-ს დადგენილების თანახმად, სოფელ ... მდებარე სადავო უძრავი ქონება დღეის მდგომარეობით თვითმმართველი ქალაქი ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებშია მოქცეული. ამასთან, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა კლასიკური დავა სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თუ ბათუმის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმებოდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მსჯელობას დავის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განსჯადად მიჩნევის თაობაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უფლებამოსილი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ საქმის გადაგზავნის შემდეგ ბათუმის საქალაქო სასამართლო წამოიწყებდა დავას ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ სადავო არ არის ადმინისტრაციული სასამართლოს უფლებამოსილება კონკრეტულ დავასთან მიმართებაში, არამედ სადავოა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე ტერიტორიული განსჯადობა ბათუმის საქალაქო სასამართლოსთან, რომლის მსჯელობის საგანი არც გამხდარა წინამდებარე საქმის განხილვის კომპეტენცია, რაც ნათლად მიაჩნია, რომ ამ ვითარებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს შორის არ არსებობს დავა განსჯადობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დაშვებული სასამართლოებს შორის საქმის განსჯადობის შესახებ დავა უზრუნველყოფილია და ემსახურება საქმის მხოლოდ იურისდიქციული ორგანოს მიერ განხილვის იმპერატიული დანაწესის შესრულებას, ხოლო საკასაციო სასამართლოსათვის მინიჭებული კომპეტენცია განსჯადობის შესახებ გულისხმობს ორი სასამართლოს მსჯელობის სამართლებრივ შეფასებას. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საკასაციო სასამართლო მსჯელობს მოდავე სასამართლოების დასაბუთებულ შეხედულებებზე კომპეტენციის თაობაზე და წყვეტს დავას სწორედ ერთ-ერთი სასამართლოს მსჯელობის, სამართლებრივი კვალიფიკაციის გაზიარების საფუძველზე, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსჯადობის შესახებ დავის არარსებობის გამო საქმე უნდა დაუბრუნდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს.



### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. საქმე – ო. ძ-ის სარჩელისა გამო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურისა და მ. ი-ის მიმართ, დაუბრუნდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ტერიტორიული განსჯადობა**

### **განჩინება**

№ბს-301-297(გ-14)

7 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე; მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 1 აპრილს შპს „...“ წარმომადგენელმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, რომ-

ლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებისა და სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 12 ნოემბრის №57050 ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის შპს „...“ საჩივრის განხილვის დავალდეზულება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 აპრილის განჩინებით შპს „...“ სარჩელი სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლსა და მე-15 მუხლზე და განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ შემოსავლების სამსახურის დეზულება, რომლის პირველი მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახურის მისამართია ქ. ქუთაისი, ... ქ. №5, რის შესაბამისად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მოპასუხის იურიდიული მისამართის მიხედვით დაევა განსახილველად გადასცა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 აპრილის განჩინებით შპს „...“ სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და საჩივრის განხილვის დავალდეზულების თაობაზე, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე, 20-ე მუხლებით და არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს არგუმენტი, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იმ მოტივით, რომ მოპასუხის – სსიპ შემოსავლების სამსახურის მისამართია ქ. ქუთაისი, ... ქ. №5.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №303 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის-შემოსავლების სამსახურის თანდართული დეზულება, რომლის პირველი მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შემოსავლების სამსახურის მისამართია როგორც

ქ. თბილისი, ... ქ. №16, ასევე, ქ. ქუთაისი, ... ქ. №5.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ განსჯად სასამართლოდ მიიჩნია თბილისის საქალაქო სასამართლო და სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ დისპოზიციურობის პრინციპი სამართალწარმოებაში ესაა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და მხარეთა გარანტირებული შესაძლებლობა, თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამასთან, დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა მხარეთა თავისუფალი ნება, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით სარჩელი აღძრან სასამართლოში, მიუთითონ მოპასუხე, რომელმაც უნდა აგოს პასუხი სასარჩელო მოთხოვნაზე, შესაბამისად, ჩათვალა, რომ საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მოსარჩელის არჩევით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს

საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოებს შორის განსჯადობა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე. მოცემულ დავაზე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 12 ნოემბრის №57050 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ შემოსავლების სამსახურის დავალდებულება განიხილოს შპს „...“ 2013 წლის 18 ოქტომბრის საჩივარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების 1.4 მუხლით, შემოსავლების სამსახურის მისამართია: ქ. თბილისი, ... ქ. №16 და ქ. ქუთაისი, ... ქ. №5. ამდენად, შემოსავლების სამსახურის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს როგორც ქ. თბილისი, ასევე, ქუთაისი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დებულებაში ორი მისამართის მითითება დაკავშირებულია მოპასუხის უფლებამოსილების გამიჯვნასთან ტერიტორიულ პრინციპზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზე-

მოაღნიშნული დებულების მოცემული ნორმის მიზნებისათვის ორი მისამართის მითითება განსაზღვრავს მისი უფლებამოსილების განხორციელების ადგილს, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოში ქ. თბილისს, ხოლო დასავლეთ საქართველოში – ქ. ქუთაისს. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ორი ადგილსამყოფელის განსაზღვრა თავისთავად დაკავშირებულია თავად მენარმე-სუბიექტების საქმიანობის ადგილთან, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია როგორც საგადასახადო დავების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ასევე, მათი დედაქალაქში თავმოყრის შესუსტების ტენდენციით. საქმეში დაცული მასალებით (ამონაწერი მენარმე და არამენარმე (არაკომეციული) იურიდიული პირების რეგისტრაციიდან) მოსარჩელის შპს „...“ იურიდიული მისამართია ხელვაჩაური, სოფ. ..., ხოლო სარჩელში ალტერნატიულ მისამართად მითითებულია ქ. ბათუმი, ... ქ. 4.; საქმეში წარმოდგენილია შპს „...“ დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა, რომლის ბლანკზე მითითებულია როგორც იურიდიული მისამართი: ხელვაჩაური, სოფ. ....; ასევე ფაქტობრივი მისამართი: ქ. ბათუმი, ... ქ. №4. საქმეში დაცული შემოსავლების სამსახურის 13.09.2013წ. №21-14/70015 მიმართული ირკვევა, რომ შპს „...“ გადასახადების/გადასახდელების და საგადასახადო სანქციების თანხების დარიცხვის/შემცირების შესახებ აუდიტის დეპარტამენტის მიერ გაცემული 2013 წლის 11 სექტემბრის №44228 ბრძანება და 2013 წლის 6 სექტემბრის საგადასახადო შემონმების აქტი გაეგზავნა ქ. ბათუმში, ... №4-ში. ამდენად, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელის საქმიანობის ადგილს წარმოადგენს ქ. ბათუმი, ... ქ. №4. სწორედ მოსარჩელის – შპს „...“ საქმიანობის ადგილის გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების 1.4 მუხლით შემოსავლების სამსახურის იურიდიული მისამართი მოცემულ დავაზე არის ქ. ქუთაისი, რაც გამორიცხავს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის საფუძველზე, რომლითაც თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა უკავშირდება მოსარჩელის უფლებამოსილებას აირჩიოს სასამართლო. აღნიშნულ შემთხვევაში, სახეზე არ არის მოსარჩელისათვის უზრუნველყოფილი პროცესუალური შესაძლებლობა აირჩიოს უფლებამოსილი სასამართლოდან ერთ-ერთი, რამდენადაც მოცემულ დავაზე განსჯადობით საქმის დაქვემდებარების საკითხი მოწესრიგებულია

საპროცესო ნორმით საერთო განსჯადობის შესახებ, რომლის მიხედვით მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯად სასამართლოს ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს ქუთაისის საქალაქო სასამართლო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – სსიპ შემოსავლების სამსახურის 12.11.2014 წ. №57050 ბრძანებით განმარტებულ გასაჩივრების წესზე, რომლის მიხედვით მოსარჩელეს განემარტა, რომ მას წარმოდგენილი ბრძანება შეეძლო გაესაჩივრებინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, ... ქ. №16) ან სასამართლოში (ქ. ქუთაისი, ... ქ. №11) საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესის შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 20 დღის ვადაში. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოსარჩელეს განემარტა სწორედ იმ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, რომელიც უფლებამოსილია აღნიშნული დავის განხილვაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სასარჩელო განცხადება მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე განსახილველად უნდა გადაეგზავნოს განსჯად ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ტერიტორიული განსჯადობა

### განჩინება

№ბს-349-345(გ-14)

7 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა:**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე; მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 12 მარტს ნ. ს-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიმართ ქ. გაგრაში ... ქ. №29-ში მდებარე სახლ-კარის მისი და მისი შვილის სახელზე მიწერის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 მარტის განჩინებით ნ. ს-ას სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა განსჯად სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მიუთითა ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლზე, რომელთა საფუძველზე განმარტა, რომ მოსარჩელე ნ. ს-ა წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირს, რომელიც მოპასუხედ მიუთითებს აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას. შესაბამისად, ჩათვალა, რომ სარჩელი განსჯადობით უნდა გადაეგზავნოს განსჯად სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის განჩინებით ნ. ს-ას სარჩელი, მოპასუხე აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რეს-

პუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიმართ, ქმედების განხორციელების – ქ. გაგრაში, ... ქ. №29-ში მდებარე სახლ-კარის მოსარჩელის და მისი შვილის სახელზე მიწერის თაობაზე, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქმის მასალებთან ერთად გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულმა სასამართლომ განჩინებაში აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, ამ მუხლით დადგენილი სარჩელის განხილვის განსჯადობის წესი მოქმედებს მაშინ, თუკი ორივე მხარე იძულებით გადაადგილებული პირია. მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრა ნ. ს-ამ, რომელიც არ წარმოადგენს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, რაც იმთავითვე გამორიცხავს მისი სარჩელის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს იურისდიქციისთვის დაქვემდებარების შესაძლებლობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.



ამდენად, მითითებული ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, სანარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლი განსაზღვრავს აფხაზეთის ა/რ სასამართლოთა განსჯად დავებს, რომლის შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ნორმის შინაარსს და განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ მუხლში საუბარია მოსარჩელეზე, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირზე, რაც გამორიცხავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, ამ დავის განსჯადობის საკითხების მოცემული მუხლის საფუძველზე გადაწყვეტის შესაძლებლობას, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ს-ას სარჩელი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2010 წლის 2 მარტის №05/01-14/1817 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც განაპირობებდა მოსარჩელისათვის იძულებით გადაადგილებული პირის-დევნილის სტატუსის მინიჭებას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ სარჩელი აღძრულია ნ. ს-ას მიერ, რომელიც არ

წარმოადგენს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, რაც გამოორიციხავს მისი სარჩელის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს იურისდიქციისთვის დაქვემდებარების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში სარჩელი ასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე აღძრულია ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ქმედების განხორციელების დავალეზების მოთხოვნით, რა დროსაც გამოყენებულ უნდა იქნეს არა სსსკ-ის 439-ე მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, არამედ სსსკ-ის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები, ანუ სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურიდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ნ. ს-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ს-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ტერიტორიული განსჯადობა

## განჩინება

№ბს-501-490(გ-14)

27 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა წესიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და რუსთავის რაიონულ სასამართლოს შორის.

### აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტომ 29.05.14წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, მოპასუხის 30.04.14წ. №89830 გადანყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. მოსარჩელემ მიუთითა, რომ გასაჩივრებული აქტით ბათილად იქნა ცნობილი რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 15.07.10 წ. გადანყვეტილება, რომლითაც ქ. რუსთავში მდებარე 63063 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირებული იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთრების უფლება. გასაჩივრებული გადანყვეტილება მიღებული იქნა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ აღნიშნულ ფართზე საკუთრების უფლება 19.04.10წ.-დან რეგისტრირებული ჰქონდა შპს „...“, რომელსაც თავის მხრივ ეს ფართი გადაცემული ჰქონდა რუსთავის თვითმმართველობის მიერ ნაკვეთის განკარგვის შედეგად. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიჩნია, რომ რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთრების უფლების დარეგისტრირების ნაცვლად უნდა მიეღო გადანყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შე-

ჩერების შესახებ, არსებული ზედდების გამო. შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ჩათვალა, რომ არსებობდა რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 15.07.10წ. გადანყვეტილების ბათილად ცნობის ზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

მოსარჩელემ სადავოდ გახადა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 30.04.14წ. №89830 გადანყვეტილება, მოითხოვა მისი ბათილად ცნობა და აღნიშნა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა პირუტყვის გადასარეკ ტრასას, რის გამოც მასზე სახელმწიფო საკუთრება უნდა ყოფილიყო შენარჩუნებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 02.06.14წ. განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარჩელო განცხადება განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. სასამართლომ სსკ-ის მე-15, მე-18, სასკ-ის 26-ე მუხლებზე მითითებით ჩათვალა, რომ ვინაიდან სადავო ქონების ადგილსამყოფელია ქ. რუსთავი, საქმე განსჯადობით უნდა გადაგზავნოდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.06.14წ. განჩინებით საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საკასაციო სასამართლოს. რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის მე-3 და მე-15 მუხლებზე, საკასაციო სასამართლოს განჩინებაზე და განმარტა, რომ ვინაიდან დავის საგანია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, მოპასუხედ დასახელებულია მხოლოდ აქტის გამომცემი ორგანო, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, სარჩელი საერთო განსჯადობის მიხედვით უნდა განიხილოს სასამართლომ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით – თბილისის საქალაქო სასამართლომ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გა-

რემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება ტერიტორიულ განსჯადობას, რომელიც წყდება მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ სადავოდ გახადა მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, დავის საგანს არ შეადგენს რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მოპასუხედ დასახელებულია მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ საქმეში სახეზე არ არის ალტერნატიული განსჯადობა. დავის საგანი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, შესაბამისად, განსჯადობის შესახებ დავა უნდა გადაწყდეს სსკ-ის მე-15 მუხლის შესაბამისად დადგენილი განსჯადობის საერთო წესების მიხედვით. სსკ-ის მე-15 მუხლის თანახმად სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 19.07.04წ. №835 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 1.8 მუხლის მიხედვით არის ქ. თბილისი, ... №2. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.07წ. №1/150-2007 გადაწყვეტილების 20.2 მუხლის თანახმად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით.

საკასაციო სასამართლო წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, თვლის, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ დავა განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 19.06.14წ. განჩინება შეესაბამება დადგენილ სასამართლო პრაქტიკას (სუს 09.09.13წ. №ბს-425-414 (გ-13) განჩინება), შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარ-

ჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ტერიტორიული განსჯადობა**

**განჩინება**

№ბს-636-623(გ-14)

2 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 22 სექტემბერს ს. მ-ამ და მ. ა-ამ სარჩელი აღ-

ძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიმართ და მოითხოვეს: 1. მ-ებისა და ა-ების საცხოვრებელი ბინების გასხვისების ნაწილში საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 სექტემბრის №11/09/04 განკარგულების, 2. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 11 სექტემბრის №2644 თანხმობის, 3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებების და აღნიშნული ხელშეკრულებებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე მ-ებისა და ა-ების საცხოვრებელი ბინების სხვა მოქალაქეებზე და სახელმწიფოზე რეგისტრაციის, 4. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 15 სექტემბრის №189707 გადაწყვეტილების ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის თაობაზე ბათილად ცნობა და 5. მ-ებისა და ა-ების საცხოვრებელ ბინებზე პირვანდელი მდგომარეობის (გასხვისებაამდე არსებული მდგომარეობის) აღდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინებით ს. მ-ასა და მ. ა-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით მოწესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა

რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განისაზღვრა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის, 23-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, 27-ე მუხლის პირველი პუნქტის, 28-ე მუხლისა და 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

მოცემულ შემთხვევაში სადავო უძრავი ნივთი – საცხოვრებელი ბინები მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, თელეთის დასახლებაში. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში განსჯად სასამართლოს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია 2014 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლომ განმარტა, რომ აღძრულ სარჩელში დავის განს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტების კანონიერება. რა



დროსაც განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება ადმინისტრაციული საქმე განსახილველად, მით უფრო მაშინ, როდესაც განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ სარჩელის ობიექტია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედებების (გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების) კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადონის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.

მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტები, შესაბამისად, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი). თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, მანამ სანამ მოსარჩელე არ დააზუსტებს თავის სასარჩელო მოთხოვნათა წრეს და ასევე არ მიუთითებს მოპასუხე – ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიმართ მოთხოვნას და იმ პირს, რომლის საკუთრების უფლებაც შეიძლება შეილახოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობით.

რუსთავის საქალაქო სასამართლო წინამდებარე საქმეზე ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №ბზ-32-31(გ-14) განჩინებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნებს და განმარტებებს, კერძოდ, სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება განხორციელებული რეგისტრაცია და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განე-

კუთვნილება საქმე განსახილველად.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით რისი არჩევანის უფლებამოსილებაც თვით მოსარჩელეს აქვს და იგი არ გამოირიცხავს და არ აუქმებს საერთო განსჯადობის წესით დადგენილ განსჯადობას, რადგან შეიცავს მითითებას ალტერნატიული განსჯადობის წესზე.

მოსარჩელის მიერ სადავოდაა ქცეული მ-ებისა და ა-ების საცხოვრებელი ბინების გასხვისების ნაწილში საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 სექტემბრის №11/09/04 განკარგულება, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 11 სექტემბრის თანხმობა №2644, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ხელშეკრულებები და აღნიშნული ხელშეკრულებებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე მ-ებისა და ა-ების საცხოვრებელი ბინების სხვა მოქალაქეებზე და სახელმწიფოზე რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, აგრეთვე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 15 სექტემბრის №189707 გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. ასევე მოსარჩელის მოთხოვნა ადდგენილ იქნეს მოქალაქეების მ-ებისა და ა-ების კონსტიტუციური, კანონიერი უფლებები მათ კუთვნილ საცხოვრებელ ბინაზე პირვანდელ მდგომარეობაში (გასხვისებამდე არსებულ მდგომარეობაში).

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავის განხილვისას განსაკუთრებული განსჯადობის წესით რუსთავის საქალაქო სასამართლოში არ უნდა მოხდეს აღნიშნული საქმის განხილვა და საქმე უნდა განხილულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით, სადაც მოსარჩელის არჩევით შეტანილ იქნა სარჩელი თავდაპირველად.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან

პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26-ე/, კერძოდ, უფლებამოსილი დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში სასამართლოს მიერ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ს. მ-ასა და მ. ა-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან

პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, უფლებამოსილი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1. მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმად, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 „ა“ მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშეც, თავისი ინიციატივით, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსე-

ნებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს:

1. მ-ებისა და ა-ების საცხოვრებელი ბინების გასხვისების ნაწილში საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 სექტემბრის №11/09/04 განკარგულების ბათილად ცნობა;

2. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 11 სექტემბრის №2644 თანხმობის ბათილად ცნობა;

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებების და აღნიშნული ხელშეკრულებებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე მ-ებისა და ა-ების საცხოვრებელი ბინების სხვა მოქალაქეებზე და სახელმწიფოზე რეგისტრაციის ბათილად ცნობა;

4. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 15 სექტემბრის №189707 გადაწყვეტილების ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის თაობაზე ბათილად ცნობა;

5. მ-ებისა და ა-ების საცხოვრებელ ბინებზე პირვანდელი მდგომარეობის (გასხვისებამდე არსებული მდგომარეობის) აღდგენა.

შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია მოპასუხეს წარმოადგენს მ-ებისა და ა-ების საცხოვრებელი ბინების გასხვისების ნაწილში საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 სექტემბრის №11/09/04 განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში. საქართველოს მთავრობა მოპასუხეს წარმოადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 11 სექტემბრის №2644 თანხმობის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მოპასუხეს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებების და აღნიშნული ხელშეკრულებებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე მ-ებისა და ა-ების საცხოვრებელი ბინების სხვა მოქალაქეებზე და სახელ-

მნიფოზე რეგისტრაციის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 15 სექტემბრის №189707 გადაწყვეტილების ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის თაობაზე ბათილად ცნობისა და მ-ებისა და ა-ების საცხოვრებელ ბინებზე პირვანდელი მდგომარეობის (გასხვისებამდე არსებული მდგომარეობის) აღდგენის მოთხოვნის ნაწილში, ხოლო მოთხოვნა – ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიმართ მოსარჩელეს არ დაუზუსტებია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გასაჩივრებული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება – საცხოვრებელი ბინები, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნა საქმის განსჯადი სასამართლოსათვის გადაგზავნის თაობაზე არ ეფუძნება სასამართლოს მიერ ადეკვატური საპროცესო მოქმედებების განხორციელებას, კერძოდ, იმ პირობებში, როცა მოსარჩელემ, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით აღჭურვილია საპროცესო უფლებებით – თავად განსაზღვროს თუ ვინ არის მის მოთხოვნაზე მოპასუხე, მოპასუხეებად მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია. თავის მხრივ, სასამართლოს საპროცესო მოვალეობას წარმოადგენს შეამოწმოს – არის თუ არა მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებული პირი ის, ვინც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. შემოწმების შედეგად, თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სარჩელი აღძრულია არასათანადო მოპასუხის მიმართ, მან უნდა განახორციელოს სსსკ-ის 85-ე მუხლის გათვალისწინებული საპროცესო ღონისძიებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხეების – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სა-

მინისტროსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფელის მიხედვით (ქ. თბილისი) – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ხოლო მოპასუხე – ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიხედვით (ქ. რუსთავი) – რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწი-  
ლის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასა-  
მართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი  
ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად,  
კი სასამართლოს არჩევს პრიორიტეტი, თუ საქმე რამდენიმე  
სასამართლოს განსჯადია, მოსარჩელის პროცესუალური პრი-  
ვილეგიაა.

შესაბამისად, ს. მ-ასა და მ. ა-ას სარჩელი განსახილველად  
უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს, სა-  
დაც მოსარჩელეებმა შეიტანეს სარჩელი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმი-  
ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართვე-  
ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლე-  
ბით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. მ-ასა და მ. ა-ას სარჩელი განსჯადობით განსახილვე-  
ლად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-  
მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბო-  
ლოა და არ საჩივრდება.

## ტერიტორიული განსჯადობა

### განჩინება

№ბს-500-489(გ-14)

9 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 14 აგვისტოს ზ. ს-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ უფლების რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 30 დეკემბრის №882013635163 გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 20 მაისის №8820144674-03 გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 20 ივნისის №8820144674-05 გადაწყვეტილების; ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 16 ივლისის №147452 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 აგვისტოს განჩინებით ზ. ს-ას სარჩელი მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-



მეთა კოლეგიამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლზე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე და აღნიშნა, რომ მართალია სარჩელი აღძრულია მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, თუმცა უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა მდებარეობს გარდაბნის რაიონის სოფ. ..., ამდენად სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მომხდარიყო იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობდა სადავო უძრავი ქონება, შესაბამისად ზ. ს-ას სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განსჯადობით განსახილველად გადაგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელე ზ. ს-ას სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ზ. ს-ას მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენდა არა უძრავი ქონება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ამიტომ განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგენილიყო არა ის ფაქტი, თუ რას ეხებოდა გამოცემული აქტები და სად მდებარეობდა სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა გარკვეულიყო, რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული საქმე განსახილველად, მით უფრო მაშინ, როცა დავის საგანს წარმოადგენდა არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედების კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინის-

ტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე უფლებამოსილი იყო დაეწყო დავა მოცემულ საქმეზე განსჯადობის შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა სასამართლოთა შორის დავა ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, კერძოდ, განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, მითითებული ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე უფლებამოსილი იყო დაეწყო დავა მოცემულ საქმეზე განსჯადობის შესახებ.

როცესო კოდექსის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კონრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, კერძოდ გასაჩივრებულია უფლების რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 30 დეკემბრის №882013635163 გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 20 მაისის №8820144674-03 გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 20 ივნისის №8820144674-05 გადაწყვეტილება; ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 16 ივლისის №147452 გადაწყვეტილება, ხოლო სარჩელში მოპასუხედ მითითებულია ადმინისტრაციული ორგანო – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომლის იურიდიული მისამართია, ქ. თბილისი, ... №2.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნულის გამო, გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორცაა დისპოზიციურობის პრინციპი. ეს უკანასკნელი სამართალწარმოებაში წარმოადგენს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ და მხარეთა გარანტირებულ შესაძლებლობას, თავისუფლად ისარგებლონ თავიანთი მატერიალური და საპ-

როცესო უფლებებით ან განკარგონ ისინი. დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა მხარეთა თავისუფალი ნება, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით სარჩელი აღძრან სასამართლოში და მიუთითონ მოპასუხე, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სასარჩელო მოთხოვნაზე.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ უნდა დაადგინოს აღძრულია თუ არა სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე ან სწორად აქვს თუ არა მითითებულ მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სასამართლო მხოლოდ მოსარჩელის თანხმობითაა უფლებამოსილი თავდაპირველი მოპასუხე შეცვალოს სათანადო მოპასუხით. მოცემული საქმის შემთხვევაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 20 მაისის №8820144674-03 და 2014 წლის 20 ივნისის №8820144674-05 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ, მოსარჩელის მოთხოვნების მიმართ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეს უნდა დააზუსტებინოს მისი თითოეული სასარჩელო მოთხოვნის მიმართ მოპასუხე და შემდეგ განიხილოს თბილისის საქალაქო სასამართლოს უფლებამოსილების საკითხი საქმის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზ. ს-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაქვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 285-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. ს-ას სარჩელი მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-

ნული სააგენტოს მიმართ ამ ეტაპზე განსჯადობით განსახილ-  
ველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს;  
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-  
ჩივრდება.

## **ტერიტორიული განსჯადობა**

### **განჩინება**

№ბზ-722-708(გ-14)

23 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე**

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-  
დექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის სა-  
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა  
და რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 29 ოქტომბერს რ. მ-ემ სარჩელით მიმართა თბი-  
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-  
ლეგიას მოპასუხეების – რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრე-  
ბულოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და  
მოითხოვა: 1. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავ-  
მჯდომარის 2014 წლის 3 ოქტომბრის №279 ბრძანების, მისი სამ-  
სახურიდან გათავისუფლების თაობაზე, ბათილად ცნობა; 2. ქ.  
რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ... განყო-  
ფილების შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობაზე აღდგე-  
ნა; 3. ქ. რუსთავის საკრებულოსათვის იძულებითი განაცდური  
ხელფასის ანაზღაურების დაკისრება და 4. ქ. რუსთავის მუნი-  
ციპალიტეტის საკრებულოსთვის და საქართველოს ფინანსთა  
სამინისტროსთვის სოლიდარულად იძულებითი განაცდური  
ხელფასის მიუღებლობის გამო მიუღებელი შემოსავლის 100 ლა-  
რის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 3 ნოემბრის განჩინებით რ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამვე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი, ხოლო ამავ კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 3 ოქტომბრის №279 ბრძანების ბათილად ცნობა. აღნიშნული ბრძანება საჩივრდება რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. რუსთავი, ... №6). რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას – რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისროს იძულებითი განაცდური ხელფასის მიუღებლობის გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება 100 ლარის ოდენობით, სასამართლოს განმარტებით, მართალია, მოპასუხედ დასახელებულია მეორე ადმინისტრაციული ორგანო – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ დავის საგანი მოიცავს რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შეფასებას, რაც განსჯადი სასამართლოს მიერ თავდაპირველად უნდა შეფასდეს, ხოლო იძულებითი განაცდურის ხელფასის მიუღებლობის გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება – აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის თანმდევი შედეგია, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს სწორედ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული

ორგანო, რომლის გამოცემული აქტის სადავოდაა გამხდარი, მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ სასამართლოს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია 2014 წლის 13 ნოემბრის განჩინებით არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

რ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 3 ოქტომბრის №279 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში მიმართულია მოპასუხე რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, რომლის მისამართია – ქ. რუსთავი, ... №20. აღნიშნულ ნაწილში განსჯად სასამართლოს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნა მიმართულია როგორც მოპასუხე რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, რომლის მისამართია – ქ. თბილისი, ... ქ. №16. აღნიშნულ ნაწილში განსჯად სასამართლოს წარმოადგენს, როგორც რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

მოსარჩელე რ. მ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რო-

მელსაც სურდა განეხილა მისი საქმე.

მოსარჩელის არჩევანის და განსჯადობის გათვალისწინებით რომელიც არ არის ორიენტირებული საქმის შედეგზე, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავის განხილვისას რუსთავის საქალაქო სასამართლოში არ უნდა მოხდეს აღნიშნული საქმის განხილვა და საქმე განხილული უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, სადაც მოსარჩელის არჩევით შეტანილ იქნა სარჩელი თავდაპირველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ რ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კო-



დექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადანყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, უფლებამოსილი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადანყვეტის აუცილებლობაში.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე, განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამონებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშეც, თავისი ინიციატივით, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამონმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესე-

ბი. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს:

1. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 3 ოქტომბრის №279 ბრძანების, სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, ბათილად ცნობა;

2. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ... განყოფილების შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობაზე აღდგენა;

3. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრება;

4. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის სოლიდარულად იძულებითი განაცდური ხელფასის მიუღებლობის გამო მიუღებელი შემოსავლის 100 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება.

შესაბამისად, რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო მოპასუხეს წარმოადგენს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 3 ოქტომბრის №279 ბრძანების, რ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, ბათილად ცნობის, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ... განყოფილების შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობაზე აღდგენისა და რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მოპასუხეს წარმოადგენს რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთად იძულებითი განაცდური ხელფასის მიუღებლობის გამო მიუღებელი შემოსავლის 100 ლარის სოლიდარულად ანაზღაურების დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გასაჩივრებული აქტები, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხე – რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადგილმდებარეობის მიხედვით – რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნები მიმართულია რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ. შესაბამისად, სასამართლოს მიერ თავდაპირველად უნდა შემოწმდეს რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული აქტის კანონიერების საკითხი, პირის ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ... განყოფილების შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობაზე აღდგენისა და რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრების საკითხი. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას – რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისროს იძულებითი განაცდურის ხელფასის მიუღებლობის გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება 100 ლარის ოდენობით, სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია, მეორე მოპასუხედ დასახელებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის იურიდიული მისამართია – ქ. თბილისი, თუმცა იძულებითი განაცდურის ხელფასის მიუღებლობის გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება გასაჩივრებული აქტის – ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 3 ოქტომბრის №279 ბრძანების – ბათილად ცნობის მოთხოვნის კანონიერების შემოწმების თანმდევი შედეგია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია, მხარის მიერ, იძულებითი განაცდური ხელფასის მიუღებლობის გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ნაწილში, სოლიდარულ მოპასუხედ რუსთავის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად დასახელებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მაგრამ თავის მხრივ, სასამართლოს საპროცესო მოვალეობას წარმოადგენს შეამოწმოს არის თუ არა მოსარჩელის მიერ დასა-

ხელებული პირი ის, ვინც პასუხი უნდა აგოს ამ მოთხოვნაზე და შემოწმების შედეგად, თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სარჩელი აღძრულია არასათანადო მოპასუხის მიმართ, მან უნდა განახორციელოს სსსკ-ის 85-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ღონისძიებები.

შესაბამისად, რ. მ-ის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ტერიტორიული განსჯადობა

### განჩინება

№ბს-2-2(გ-15)

20 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 30 ოქტომბერს ნ. კ-ემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 ივლისის №4/21473 წერილის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის 2014 წლის 2 ოქტომბრის №1-1/288 ბრძანების, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 13 ოქტომბრის №1-3/491 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და გარდაბანში, ... ქ. №6-ში მდებარე 0.15ჰა მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე მშენებარე საცხოვრებელი სახლის 3 საცხოვრებელი ოთახით – 48 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით ნ. კ-ის სახელზე დარეგისტრირება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ნ. კ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონე-

ბის გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 33-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

მოცემულ შემთხვევაში სადავო უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები მდებარეობს გარდაბანში, ... ქ. №6-ში. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში განსჯად სასამართლოს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო.

რუსთავის საქალაქო სასამართლო 2014 წლის 11 ნოემბრის განჩინებით არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2014 წლის 4 თებერვლის განჩინებაში საქმეზე №ბს-32-31(გ-14) განმარტა, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება განხორციელებული რეგისტრაცია და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამოცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცე-

მული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება. მოსარჩელეს მოპასუხედ დასახელებული ჰყავს ადმინისტრაციული აქტების გამოცემა ორგანო: სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ... ქ. №12.

ამდენად, დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, რა დროსაც განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტის გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. შესაბამისად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ნ. კ. ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარ-

ჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, უფლებამოსილი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამონებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშეც, თავისი ინიციატივით, როგორც



აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 ივლისის №4/21473 წერილის ბათილად ცნობა;

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის 2014 წლის 2 ოქტომბრის №1-1/288 ბრძანების ბათილად ცნობა;

3. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 13 ოქტომბრის №1-3/491 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და გარდაბანში, ... ქ. №6-ში მდებარე 0.15ჰა მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე მშენებარე საცხოვრებელი სახლის 3 საცხოვრებელი ოთახით – 48 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით ნ. კ-ის სახელზე დარეგისტრირება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება განხორციელებული რეგისტრაცია და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით გან-

სჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი, ... ქ. №12) – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. კ-ის სარჩელი განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. კ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო  
განცხადების განსჯალობა**

**განჩინება**

№ბ-555-3(ა-14)

19 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე**

განიხილა რ.ბ-ის განცხადების დასაშვებობის საკითხი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის განჩინების გაუქმების შესახებ.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 14 მაისს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა რ.ბ-მა და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის განჩინების გაუქმება შემდეგი მოტივით:

2012 წლის 26 მარტს გორის რაიონულ პროკურატურაში შეიტანა განცხადება ლ. ბ-ის მიერ დოკუმენტების შესაძლო გაყალბებასთან დაკავშირებით, რაზედაც დაიწყო გამოძიება. აღნიშნული გამოძიება 2013 წლის 27 სექტემბერს უკანონოდ შეწყდა და მას 2014 წლის 6 თებერვალს წერილით ეცნობა, რომ ჩატარებული მოკვლევის შედეგად არ გამოიკვეთა რაიმე დანაშაულის ნიშნები, რის გამოც არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების თაობაზე.

განმცხადებელმა მიმართა გორის მუნიციპალიტეტს განმარტების მოთხოვნით, ჰქონდა თუ არა ბოშურის ტერიტორიული ორგანოს უფროსს სპეციალისტს ლ. კ-ეს 1996-2007 წლებში საკომლო წიგნში ჩანაწერის გაკეთების უფლება. 2014 წლის 15 აპრილს წერილის პასუხად ეცნობა, რომ არც იმ დროისათვის და 2006 წლამდე მოქმედი „თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12, მე-13, 24-ე და 25-ე მუხლები არ იძლეოდა იმ იურიდიულ საფუძველს, რომ სოფლის (თემის) თვითმმართველობის კომპეტენციაში შესულიყო კომლის რეგისტრაცია და საკომლო წიგნების წარმოე-

ბის ფუნქცია და გაუქმებულ კომლში განხორციელებული ჩანაწერების თაობაზე გადაწყვეტილება გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არ იძებნება.

განმცხადებლის მითითებით, ამ ფაქტის შესახებ რომ ყოფილიყო ცნობილი გორის რაიონულ სასამართლოში შეტანილი სარჩელის განხილვის დროს გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, ვინაიდან თუკი დადასტურდებოდა, რომ საკომლო წიგნში ლ. ბ-ის სახელზე განხორციელებული ჩანაწერი შესრულებული იყო უკანონოდ, კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, ეს გასაჩივრებული აქტის ბათილობის საფუძველი გახდებოდა. შესაბამისად, ამ საკომლო წიგნის საფუძველზე გორის რაიონის სოფელი ზემო ბოშურის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ლ. თ-ის მიერ გაცემული ცნობები და მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებიც გაბათილდებოდა და ამით აღდგებოდა რეგისტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რ.ბ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის განჩინების გაუქმების შესახებ განსჯადობის წესების დაცვით, უნდა გადაეცეს უფლებამოსილ გორის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამძღვრები. ამავე კოდექსის 424.1 მუხლის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობის საკითხს, განცხადება შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, განცხადება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს განსჯადია იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში, რ.ბ-ი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადებით ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაი-

სის განჩინების გაუქმებას, რომლითაც დაუშვებლად იქნა მიჩნეული რ.ბ-ის საკასაციო საჩივარი, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 დეკემბრის განჩინებით რ.ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა რ.ბ-ის სარჩელი გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბოშურის ტერიტორიული ორგანოს 2010 წლის 24 თებერვლის №47-ე, 2010 წლის 9 მარტის №50-ე ცნობების, 2010 წლის 3 აგვისტოს №51-ე მიმართვის, ლ. ბ-ის სახელზე განხორციელებული საკომლო წიგნისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ.

შესაბამისად, რ.ბ-ის მიერ განცხადება საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილია განსჯადობის წესების დარღვევით, რადგან მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილია გორის რაიონული სასამართლოს მიერ. შესაბამისად, სსსკ-ის 424-ე მუხლის მოთხოვნის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ რ.ბ-ის განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს გორის რაიონული სასამართლო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რ.ბ-ის განცხადება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის წესების დაცვით უნდა გადაეცეს გორის რაიონულ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია იმსჯელოს წარმოდგენილი განცხადების დასაშვებობასა და მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 421-ე, 424-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. რ. ბ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განსახილველად გადაეცეს უფლებამოსილ გორის რაიონულ სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. სAJართო განსჯადობა

### განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

#### განჩინება

№ბს-32-31(გ-14)

4 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ბათუმის რაიონული სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 24 აპრილს ი. ლ-ემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 14 თებერვლის №TT2013006439-03 გადაწყვეტილების რეესტრის ხელმისაწვდომობის შესახებ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 25 მარტის №48902 გადაწყვეტილების ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ბათილად ცნობა და ქ. ბათუმში, ... ქ. №66-ში მდებარე უძრავ ნივთზე, კერძოდ, „კ“ ლიტერზე მის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალაგება.

2013 წლის 27 მაისს ხარვეზის შევსების მიზნით განცხადებით მიმართა ი. ლ-ის წარმომადგენელმა გ. მ-ემ და მოპასუხედ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურთან ერთად მიუთითა ასევე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა არ შეუცვლია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ იშუამდგომლა საქმის განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნა იმ საფუძველით, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომლის მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2. ამავე დროს მოსარჩელე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას ითხოვს უშუალოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან, ხოლო ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ რაიმე დამოუკიდებელი მოთხოვნა მოსარჩელეს არ გააჩნია.

სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ შუამდგომლობას მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი არ დაეთანხმნენ და მიუთითეს, რომ საქმე შეიძლება განხილულ იქნეს სტრუქტურული ერთეულის ადგილსამყოფელის მიხედვით ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ვინაიდან, მოსარჩელე ითხოვს ცნობა-დახასიათების გაცემას უძრავ ნივთზე, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში, ... ქ. №66.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ივნისის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ი. ღ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.

მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოდ მოსარჩელე მიუთითებს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 14 თებერვლის №TT2013006439-03 გადაწყვეტილების რეესტრის ხელმისაწვდომობის შესახებ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის

25 მარტის №48902 გადაწყვეტილების ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ბათილად ცნობა და ქ. ბათუმში, ... ქ. №66-ში მდებარე უძრავ ნივთზე, კერძოდ, „კ“ ლიტერზე მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბათუმის საქალაქო სამართლოს შეფასებით, ი. ლ-ის მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება. რა დროსაც განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად, მით უფრო მაშინ, როდესაც განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ სარჩელის ობიექტია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედებების (გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების) კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ასევე მოსარჩელე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ითხოვს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან, შესაბამისად, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფელის მიხედვით ქ. თბილისი, ... ქ. №2 – ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მართალია, მოპასუხედ ასევე მითითებულია ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური, მაგრამ აღნიშნული გარემოება განსჯადობის საკითხს ვერ ცვლის, ვინაიდან საქმეში არსებული მასალებით



ირკვევა, რომ ი. ლ-ის მიერ აღძრულ დავაში ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს, რამეთუ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არაა გამოცემული და მოსარჩელეს რაიმე დამოუკიდებელი მოთხოვნა უშუალოდ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ არ გააჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლო 2013 წლის 26 დეკემბრის განჩინებით არ დაეთანხმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი მოიცავს არა მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებას, არამედ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების ფორმალური და მატერიალური კანონიერების შეფასებას. შესაბამისად, პროცესში მოპასუხის სტატუსით ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მონაწილეობა განპირობებულია სწორედ იმ გარემოებით, რომ იგი წარმოადგენს მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ერთ-ერთი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენს როგორც ბათუმის საქალაქო სასამართლო, ისე თბილისის საქალაქო სასამართლო. შესაბამისად, ამავე კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს. 2013 წლის 24 ივნისის სასამართლო სხდომის ოქმით კი დგინდება, რომ ი. ლ-ე და მისი წარმომადგენელი არ დაეთანხმნენ მოპასუხეთა შუამდგომლობას საქმის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფელის მიხედვით გადაგზავნის შესახებ და ითხოვნენ საქმის განხილვას ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს შეფასებით, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის

თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ი. ღ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადანყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახულია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, უფლებამოსილი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1. მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაცი-

ციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსაჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 „ა“ მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამონმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშეც, თავისი ინიციატივით, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს:

1) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 14 თებერვლის №TT2013006439-03 გადაწყვეტილების რეესტრის ხელმისაწვდომობის შესახებ ბათილად ცნობა;

2) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 25 მარტის №48902 გადაწყვეტილების ადმინისტრაციული სა-

ჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ბათილად ცნობა;

3) ქ. ბათუმში, ... ქ. 66-ში მდებარე უძრავ ნივთზე, კერძოდ, „კ“ ლიტერზე მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება.

შესაბამისად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 25 მარტის №48902 გადაწყვეტილების ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ბათილად ცნობისა და ქ. ბათუმში, ... ქ. 66-ში მდებარე უძრავ ნივთზე, კერძოდ, „კ“ ლიტერზე მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში;

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათილად ცნობის ნაწილში, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 25 მარტის №48902 გადაწყვეტილებით, რომლითაც როგორც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე შემონმდა ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 14 თებერვლის №TT2013006439-03 გადაწყვეტილების რეესტრის ხელმისაწვდომობის შესახებ ადმინისტრაციული აქტის კანონიერება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება განხორციელებული რეგისტრაცია და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს დასკვნა საქმის განსჯადი სასამართლოსათვის გადაგზავნის თაობაზე არ ეფუძნება სასამართლოს მიერ ადეკვატური საპროცესო მოქმედებების განხორციელებას, კერძოდ, იმ პირობებში, როცა მოსარჩელემ, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით აღჭურვილია საპროცესო უფლებით – თავად განსაზღვროს თუ ვინ არის მის მოთხოვნაზე მოპასუხე, მოპა-

სუხედ მიუთითა საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური. თავის მხრივ, სასამართლოს საპროცესო მოვალეობას წარმოადგენს შეამონმოს – არის თუ არა მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებული პირი ის, ვინც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. შემონმების შედეგად, თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სარჩელი აღძრულია არასათანადო მოპასუხის მიმართ, მან უნდა განახორციელოს სსსკ-ის 85-ე მუხლის გათვალისწინებული საპროცესო ღონისძიებები.

ბათუმის საქალაქო სასამართლო უთითებს, რომ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ არ არის აღძრული მოთხოვნა, თუმცა, შესაბამისი საპროცესო მოქმედება და სასამართლო აქტები (პირის არასათანადო მოპასუხედ მიჩნევა, მოსარჩელისათვის შეთავაზება შეცვალოს არასათანადო სათანადო მოპასუხით) არ განუხორციელებია და არ გამოუცია. ამდენად, მოცემულ ვითარებაში, ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური კვლავ ინარჩუნებს მოპასუხის სტატუსს, რის გამოც ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის თანახმად რამდენიმე მოპასუხის მიმართ აღძრული სარჩელის შემთხვევაში, განსჯადი სასამართლოს არჩევის პრიორიტეტი მოსარჩელის პროცესუალური პრივილეგიაა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოტივაციას, რომ სარჩელის დავის საგანი მოიცავს არა მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების, არამედ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების ფორმალური და მატერიალური კანონიერების შეფასებას და პროცესში მოპასუხის სტატუსით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მონაწილეობა განპირობებულია სწორედ იმ გარემოებით, რომ იგი წარმოადგენს მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ერთ-ერთი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. შესაბამისად, სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენს როგორც ბათუმის საქალაქო სასამართლო, ისე თბილისის საქალაქო სასამართლო. ვინაიდან, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე ი. ღ-ე და მისი წარმომადგენელი გ. მ-ე არ დაეთანხმნენ მოპასუხის შუამდგომლობას საქმის განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ და ითხოვდნენ საქმის ბათუმის საქალაქო სასამართლოში განხილვას, შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია განსჯად სასამართლოდ ბათუმის საქალაქო სასამართლო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს საქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, კი სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ი. ლ-ის სარჩელი განსახილველად დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. ლ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# განსჯადობა უპრაპი ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით

## განჩინება

№ბს-162-160(გ-14)

29 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 31 ოქტომბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №1-1/1524 ბრძანების მე-7 პუნქტის ნაწილობრივ, კერძოდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საავადმყოფოების შენობების (მდებარე – ჩოხატაური, ... ქ. №13 და ... ქ. №22), ასევე, მათ გარშემო არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (საკადასტრო კოდი: №28.01.23.040 და №28.01.21.026) საერთო-სახელმწიფოებრივ ქონებად განსაზღვრის ნაწილში ბათილად ცნობა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის ქმედების განხორციელების დავალება, კერძოდ, სადავო მიწისა და შენობების გაყიდვიდან მიღებული 30 5396 ლარის ოდენობით შემოსულობების ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში ჩარიცხვის უზრუნველყოფის დავალება მოითხოვა. მოსარჩელემ ასევე ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1434 განკარგულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2013 წლის 4 ნოემბრის განჩინებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სასარჩელო განცხადება მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მიმართ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №1-1/1524 ბრძანების ბათილად ცნობის, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის ქმედების განხორციელების დაავალებისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1434 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ, განსახილველად გადაეგზავნა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში სარჩელის წარდგენისას დაცულ უნდა იქნეს როგორც საგნობრივი, ისე ტერიტორიული და დარგობრივი განსჯადობის წესები და შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც ზემოხსენებული საპროცესო ნორმების შესაბამისად უფლებამოსილია გადანიშნოს ადმინისტრაციული საქმე.

განსახილველ შემთხვევაში, სადავო უძრავი ქონების ადგილსამყოფელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, რის გამოც საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სასარჩელო განცხადება განსჯა-



დობით უნდა გადაეგზავნოს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს დავის სწრაფად და ეფექტურად განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 20 მარტის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე №3-102/13 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარჩელით, მოპასუხეების საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის და თანხის დაკისრების თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადმოეგზავნა.

ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობა განსჯადობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავდროულად მე-2 ნაწილით, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ამდენად, თუ პირის მიერ სარჩელი აღძრულია არაგანსჯად სასამართლოში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლით, სასამართლო ვალდებულია საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტით, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით არ არის განსაზღვრული სასამართლოების ტერიტორი-

ული განსჯადობა, შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულია ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესი. კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. სასამართლოს განმარტებით, მოხმობილი მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

რაიონული სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ დავის საგანი ეხება არა უძრავ ნივთზე უფლებას, არამედ, მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას და თანხის გადახდის დაკისრებას. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს მოსარჩელის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტებისა და სასარჩელო მოთხოვნისგან.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნივთობრივ განსჯადობას განეკუთვნება სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო.

განსახილველ შემთხვევაში რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი სარჩელით დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ, პირველი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1

მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; მე-2 სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში კი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ სად მდებარეობს უძრავი ქონება (რომელიც მხარეთა შორის სადავო არ არის), არამედ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაში ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და თანხის გადახდის დაკისრება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და განწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია და თანხის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნა მიმართულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ, რომლის ადგილსამყოფელია – თბილისი, ... ქ. №12. შესაბამისად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეზე ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. დასახელებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების მხედველობაში მიღებით, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარჩელი უნდა განიხილოს არა ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ, არამედ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, რის გამოც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარჩელი, მოპასუხეების საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის და თანხის დაკისრების თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქართვე-

ლოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადმოეგზავნა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი იმპერატიული შინაარსის ნორმაა, რომელიც ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლი სასამართლოს

ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსაჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 „ა“ მუხლის თანახმად, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი თავისი ხასიათით, შინაარსითა და იურიდიული ბუნებით არის ზოგადი და ამავდროს იმპერატიული ნორმა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად ადგენს განსჯად საერთო სასამართლოს ტერიტორიული ნიშნის, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით რეგლამენტირებულია ნივთობრივი განსჯადობის შესახებ სპეციალური წესები. ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების შესახებ, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით.

განსახილველ საქმეში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები არიან – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვი-

თარების სამინისტრო და საქართველოს მთავრობა, ხოლო დავის საგანს წარმოადგენს:

1) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №1-1/1524 ბრძანების მე-7 პუნქტის ნაწილობრივ, კერძოდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საავადმყოფოების შენობების (მდებარე – ჩოხატაური, ... ქ. №13 და ... ქ. №22), ასევე, მათ გარშემო არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (საკადასტრო კოდი: №28.01.23.040 და №28.01.21.026) საერთო-სახელმწიფოებრივ ქონებად განსაზღვრის ნაწილში ბათილად ცნობა;

2) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის ქმედების განხორციელების დავალება, კერძოდ, სადავო მიწისა და შენობების გაყიდვიდან მიღებული 30 5396 ლარის ოდენობით შემოსულობების ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში ჩარიცხვის უზრუნველყოფის დავალება;

3) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1434 განკარგულების ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილად მიიჩნევს (რასაც თავად სასარჩელო მოთხოვნაც ადასტურებს), რომ დავის საგანი ეხება არა უძრავ ნივთზე უფლებას, არამედ, მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასა და თანხის გადახდის დაკისრებას, რა დროსაც სასამართლოებმა წარმოდგენილი სარჩელის სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ სად მდებარეობს უძრავი ქონება და რას ეხება სადავო აქტები, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების მიხედვით უნდა გამოარკვიონ თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და თანხის გადახდის დაკისრება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების

ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, მოცემულ საქმეზე ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქმე – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარჩელისა გამო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საძიებელი

1. ადმინისტრაციული განსჯადობა .....	3
2. სამოქალაქო განსჯადობა .....	14; 23; 31; 49; 58; 70
3. ტერიტორიული განსჯადობა .....	87; 93; 98; 106; 112; 116; 119; 129; 134; 142
ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო განცხადების განსჯადობა .....	148
4. საერთო განსჯადობა განსჯადობა მოსარჩელის არჩევით .....	151
განსჯადობა უძრავი ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით .....	160



საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 298 21 03  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)